№ 2832
სამშაბათი,
31 მაისი

ცნობის ფურცელი

№ 2832
სამშაბათი,
31 მაისი

გაზეთის ღირს: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუდღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

29 მაისს სოფ. ქოლევში გადაიცვალა

ალექსანდრა ივანეს ასული ჭიჭინაძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მშობლები **ივანე სიმონის ძე მესხი და ეფროსინე ნიკოლოზის ასული მესხისა და მაზლები ანდრია და ვარლამ ჭიჭინაძეები.** გამოსვენება დანიშნულია 31 მაისს. (1—6—1)

მარიამ ივანეს ასული ჭილაშვილისა შვილებითურთ და ნატალია ივანეს ასული შიუკაშვილისა ქმრით და შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის

მ ა რ ო ს

გარდაცვალებას და სთხოვენ მობრძანდნენ ცხედრის გამოსვენებაზედ ოთხშაბათს 1-ს ივნისს, დილის 9 საათზედ, მიხაილოვის საავადმყოფოს სამლოცველოდან ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. პანაშვიდი იქნება სამშაბათს, 31 მაისს, საღამოს 7 საათზედ, მიხაილოვის საავადმყოფოს სამლოცველოში. (1—1)

ოლღა ვასილის ასული ლამბაშიძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 1 ივნისს, საღამოს 5 საათზე წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წლის თავის პანაშვიდი თავისის ქმრის

ესტატე ბესარიონის ძის ლამბაშიძისა,

ხოლო მეორე დღეს წმ. გიორგის ეკლესიაზე შესრულებულ იქნება წირვა ეპისკოპოზის ლეონიდის მიერ. (1—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შეუვაჭრებლად. (0—38)

ვაჭრობა ნახევარ ფასად
ვაჭრობა ნახევარ ფასად
განცხადება
ისარგებლეთ იშვიათი შემთხვევით
დამზადებულ ტანსაცმლის დეპო
ი. ვ. ხუდავერდიანცისა
გოლოვინის პროსპექტზე, პირველ გიმნაზიის პირდაპირ.
აუწყებს ტფილისის საზოგადოებას, რომ ვაჭრობის შემცირების გამო, 27 მაისიდან მოკლე ვადით დანიშნულია **არა ჩვეულებრივ იაფი ვაჭრობა** ნახევარ-ფასად დეპოს ყველა საქონლისა კაცების, ქალების და ბავშვების ტანსაცმელისა, რუსეთისა და ინგლისის ქარხნების მაუდებისა. დეპოს საჭიროდ არ მიაჩნია რეკლამის საშუალებით აღნიშნოს ხსენებულ საქონლის იაფი ფასები და სთხოვს მუშტრებს პირადად დარწმუნდნენ. ყველა საქონელს გადაჭრილი ფასი აწერია ფერადი კარანდაშით, ნარდათ მოვაჭრეთ შეღავათი ეძლევათ. იაფი ვაჭრობის დროს მაღაზია გაღებული იქნება დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდის.
(5—2) პატივისცემით დამზადებულ ტანსაცმლის დეპო **ვ. ი. ხუდავერდიანცისა.**

ახალი ბუფეტი
„არარატი“
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).
სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.
(თვ.—6.—13) პატივის ცემით **ვანო.**

ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ყველა მოსწავლე, რომელიც პირველ ივნისამდე არ შემოიტანს თხოვნას, მარიამობის თვეში გამოცდაზე შემდეგ კლასში გადასასვლელად ანუ დარჩენაზე იმავე კლასში მეორე წლით, ჩაითვლება სასწავლებლიდან გამორიცხულად და ყოველივე საბუთი ჩაბარდება პოლიციის საშვალებით.
(3—6.—3) დირექტორი **ვ. ბაბანსკი.**

რესტორანი
„ფუნიკულერი“.
1 ს.—5 ს. სადილი 4 ბლუდი 1 მ.
სადილი 31 მაისისთვის
დანიშნული განსაკუთრებულ გამოცდილის მზარეული მ. მიშელის.
1. ბორშჩი მოლოროსიული, გრენკი, ქაშით.
2. სუფი ბერძნული პიროჟკებით.
3. ტივტილი ზაპეჩონი.
4. ხბო სალათით.
5. გრანიტი ალუ-ბალით.
და ყავა.
მოძრაობა ფუნიკულერის ვაგონებისა დილის 8 ს. ღამის 12 საათამდე.
5 სათიდან—10 საათამდე უკრავს ორკესტრი 8-კავკასიის მსროლელთა ბატალიონისა კაპელმეისტერ ფიდელმანის ზედამხედველობით.
(0—22) პატრონი **ნ. ტ. ჩიკვაიძე**

ექიმი
ნ. ტ. მულინი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დღისით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ. № 26. (20—6.—4)

216 მანეთათ
წელიწადში ქირავდება სამი ოთახი ზემო სართულში წყლითა და ყოველის მოწყობილებით, დიდუბეში, ელისაბედისა და შერემეტიევის ქუჩაზე, სადაც რკინის გზის მაღაზიაა. (6—6.—6)

იყიდება
კვასი
ძმ. გეურქოვებისა, სასამართლოს ქუჩაზე, მაისურაძის სახლი, № 6, პირველ გიმნაზიის უკან, გრიგოლ ბუაჩიძის მაღაზიაში. (1—239—1).

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
პიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 12.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (306.—18)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—28)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—15)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
28 მაისი.

გოძიადანი, 27 მაისი. მოპირდაპირის რაზმები ბეჯითად ზვერავენ მთელს ჩვენს ფრონტს, მაგრამ ჩვენს კავალერიას-კი გაურბიან.

ტოკიო, 28 მაისი (რეიტ.). რუსების მზვერავების მოქმედებას გაცილებით მეტი გაუმჯობესება დაეტყო. ხმებია, რომ ლინევიჩის მთავარი სადგომი ფენხუაშია. მთავარ სარდალი ათვალიერებს პოზიციებს ტ ჯარებს, რათა გააძლიეროს ჩანტუნ-გირინის დასაცველი ადგილები, საცა ის მტრის დაცემას მოელის.

ვაშინგტონი, 28 მაისი. რუზველტმა 20 მაისს გაუგზავნა ნოტა, როგორც-კი მიიღო პეტერბურგსა და ტოკიოდან ცნობები, რომ შესაძლებელია მისი წინადადების მიღება. ამას პირველ ნაბიჯათ სთვლიან ზავის ჩამოგდებისკენ. გერმანიის იმპერატორი ხელს უწყობს, საფრანგეთმაც მხარი დაუჭირა რუზველტს და ურჩევს იაპონიას ზომიერება იხმაროს მოთხოვნებში.

ვაშინგტონი, 28 მაისი. რუსეთმა და იაპონიამ მიიღეს რუზველტის ნოტა. მოპირდაპირე მხარეების რწმუნებულთა შეხვედრაში, რათა იაპონიის რწმუნებულმა ზავის პირობები გადასცეს რუსეთისას, არავითარი ეჭვი აღარაა.

ლონდონი, 28 მაისი. სააგენტოს კორესპონდენტმა გაიგო ძლიერ სარწმუნო წყაროდან, რომ შეხვედრა ვაშინგტონში მოხდება. რუსეთის მხრივ რწმუნებულად ბარონ როზენს ასახელებენ, რუსის ელჩს ვაშინგტონში. ვაშინგტონი პარიზზე მოხერხებული ადგილია, ვინაიდან მას უფრო ნეიტრალური ხასიათიც აქვს და უფრო ნაკლებ გავლენის ქვეშაა გარეშე მხრივ. რუზველტმა მანამდე არ გამოაქვეყნა ნოტა, სანამ რუსეთმა და იაპონიამ არ განაცხადეს, რომ პრეზიდენტის წინადადების მიღება შესაძლებელიაო. აქედან შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ამ ჟამად პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილია მოლაპარაკების დაწყება. იაპონია შემდეგს პირობებს არდგენს: კორეია იაპონიის პროტექტორატის ქვეშ დარჩება, რუსებმა სრულებით უნდა გასწმინდონ მანჯურია, იაპონელებს უნდა დაეთმოს პორტ-არტური, ლიაოდუნი, რკინის გზა ხარბინამდე იმ პირობით, რომ რუსეთს დაუბრუნდება ამ გზის გაყვანაში დახარჯული ფული. როჟესტვენსკი, რომ არ დამარცხებულიყო, სახალინზე ლაპარაკს არ დაიწყებდნენ, ეხლა კი აღძრავენ მაზე საკითხს. კონტრიბუციის საკითხი ყველაზე ბოლოს იქნება განხილული. ბევრია დამოკიდებული დანარჩენ პირობებზე. თუ ზავს მტკიცე ნიადაგი ექნება, მაშინ იაპონია უფრო ზომიერი იქნება მოთხოვნებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ის მეტს მოითხოვს. ისა, რომ რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენელი თავისუფლად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს, საშუალებას იძლევა ურთიერთ შეთანხმებისთვის.

პარიზი, 28 მაისი. პოლიტიკოსთა წრეებმა ამერიკის ნოტის შინაარსი და ფორმა ძლიერ მოიწონეს. „დება“ იმედს გამოსთქვამს, რომ რუზველტის ნოტას შედეგად რუსეთისა და იაპონიის მიერ რწმუნებულთა დანიშვნა მოჰყვებაო.

ტოკიო, 28 მაისი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ 27 მაისს დილის 4 საათზე იაპონელებმა განდევნეს რუსები ლიანგშუიჩუანისა და ნანჩენზუს სიმაღლეებიდან და ეს პოზიციები დაიჭირეს. 27 მაისს იაპონელებმა დაიჭირეს ეროლშიპუს მიდამოები ათის მილის მანძილზე ჩანტუდან, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით; შუფანტაი და ტუნჩუნჩანძუ ათის მილის მანძილზე ჩანტუდან ჩრდილოეთით, და ხოილუნშანი, ჩანუხიდან ცამეტ მილზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. დანარჩენში ცვლილება არ მომხდარა.

პეკინი, 28 მაისი. თათბირი აქვთ, რომ აქ იაპონიის უნივერსიტეტი დაარსდეს. ამ საქმეზე ტოკიოს უნივერსიტეტის საერთაშორისო უფლების პროფესორი მოვიდა აქა და უკვე რამდენჯერმე მოხდა თათბირი. ყველანი უნივერსიტეტის დაარსების მომხრენი არიან, რადგან ბევრს ჩინელს არ შეუძლიან იაპონიაში წასვლა უმაღლეს სწავლის მისაღებად.

ბერლინი, 29 მაისი. დღევანდელმა გაზეთებმა ყველამ შერიგებას უძღვნეს მოწინავე წერილები. „რუნდშაუ“ სწერს: ქვეყნიერობა შვებით ამოისუნთქავს, როცა გაიგებს, რომ საზარელი დრამა შორეულ აღმოსავლეთში მალე დასრულდება. „ნორდდეიტჩე“ ამბობს, რუზველტის საქმე მეცადინეობა, ეტყობა, გამარჯვებით დასრულდა და მეომარი სახელმწიფოები მზად არიან პირდაპირ ერთმანეთთან მოლაპარაკება დაიწყონ. სურვილს ვაცხადებთ, რომ მოლაპარაკებას შეთანხმება მოჰყვესო.

პეტერბურგი, 29 მაისი. დღეს 12 საათზე პუტილოვის ქარხანაზე ნაღმიანი კრეისერი „დობროვოლეცი“ ჩაუშვეს ზღვაში.

თეირანი, 28 მაისი. სპარსეთის არმიაში რეფორმა მოხდა, იგი 12 კორპუსად გაიყო: ქვეითა ჯარი 47,000, კავალერია 20,000, არტილერია 7000. დაარსებულია სამხედრო სკოლა, სამხედრო განათლება სავალდებულო იქნება ფიცრებისათვის. ქერმანში ხალხი მღელვარებს; უწესობას მოელიან.

ბერლინი, 28 მაისი. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი იუწყება, რომ ტანჟერში მალე შივა საფრანგეთის ხმელთა შუა ზღვის ესკადრის უმთავრესი ნაწილი. ხერნოგორელთა და მაჰმადიანთა შორის ბრძოლაა. მებრძოლთა რიცხვი 2 ათასამდეა. ორ რაზმს გარს შემოერტყნენ ხერნოგორელები.

დონის როსტოვი, 28 მაისი. გუშინ საბჭოს სხდომაზე თვითმოქმედმა ახალგაზრდობამ დემონსტრაცია მოახდინა, რის გამო სხდომა შესწყდა. დემონსტრაცია ქალაქის ბაღში განახლდა და მალე გაფანტულ იქმნა.

კიევი, 28 მაისი. შუადღეზე გიდაც უცნობმა კაცმა ექვსჯერ ესროლა რევოლვერი დაცვის განყოფილების უფროსს სპირიდოვიჩს და დასჭრა ფეხსა და გვერდში.

პეტერბურგი, 28 მაისი. დღეს მოხდა მესამე სხდომა მინისტრთა საბჭოსი ხალხის წარმომადგენელთა შესახებ ბულიგინის პროექტის განსახილველად.

ენისეისკი, 28 მაისი. ყოველ დღე სახლებს ცეცხლს უკიდებენ. 26 მაისს საუკეთესო უბანში დაიწვა 7 სახლი. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს.

ბერლინი, 29 მაისი. კანცლერის ორგანო „ნორდ-დეიჩე“ ამბობს დელკასეს სამსახურიდან გასვლის შესახებ: „უნდა აღვნიშნოთ საფრანგეთის ზოგიერთ გაზეთში გამოთქმული ერთმანერთის წინააღმდეგი აზრები. საქმე ეხება საფრანგეთის შინაურ ამბავს, რომელშიაც გერმანია არ შეერევა. თუ გერმანიის გაზეთებში აზრი იყო გამოთქმული, რომ ახლა გერმანიასა და საფრანგეთს შორის დამოკიდებულება ნორმალური შეიქნებაო, ეს შემდეგს ნიშნავს: ფიქრობენ, რომ დელკასეს მოადგილე ეცდება თავიდან აიცდინოს იმისი შეცდომანი. დამოკიდებულებას პოლიტიკა არკვევს და არა კერძო პიროვნებაო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
28 მაისი

ტოკიო, 26 მაისი. ჩრდილოეთ კორეიდან იუწყებიან, რუსის ჯარები, რომლებსაც კენხინ-ოკსენგის ლინია უჭირავთ, შესდგებიან ერთის დივიზიისაგან და არტილერიისა და კავალერიის რაზმებისაგან. რუსის მოწინავე პოსტები იუპიონში იმყოფებიან, მოდარაჯეები კენგ-შენგში. რუსებს გირინსა და ჩანჩუნს შუა 300 ათასი კაცი ჰყავთ.

რუსეთის მთავრობამ ჩინეთის პასუხად გამოაცხადა, რომ ჩემს ჯარს ავუკრძალე მონგოლიაში შესვლა ურგის აღმოსავლეთით და პედნის დასავლეთითაო.

ტოკიო, 28 მაისი. ოფიციალურის ცნობით, იაპონელები ნელა-ნელა წინ მიდიან კაიუან გირინის გზაზე. რუსის კავალერიამ რამდენიმე იერიში მიიტანა ჩანტუფუს ჩრდილოეთით.

ვაშინგტონი, 26 მაისი. მანილიდან ოფიციალური ცნობები იუწყებიან, რადგან რუსის გემებმა 24 საათში მანილა არ მიატოვეს, ამიტომ სამსავე კრეისერს იარაღი აჰყარეს და ეხლა ამერიკის სამხედრო გემები იცავენო. ადმირალი ტრენი კრეისერების მაშინებს მოქმედების შეძლებას მოუსპობს და ზარბაზნების უმთავრეს ნაწილებს გადმოიღებს. რუსის აფიცრები და მატროსები გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობა აღარ მიიღონ ომის გათავებამდე.

ლონდონი. „სტანდარდ“-მა გამოაცხადა საუბარი იაპონიის ელჩ გაიაშისთან. გაიაშიმ სთქვა: მე არ მიმიღია ჩემის მთავრობისაგან ცნობა საზავო მოლაპარაკებაზე და არა მგონია, რომ იაპონიის რომელსამე წარმომადგენელს საზღვარ გარედ შეეძლოს პირდაპირ დასახელება იმ პირობისა, რომელიც იაპონიამ წარდგინა, როგორც ზავის საფუძველი. იაპონია მზადაა მოლაპარაკება დაიწყოს რუსეთთან, რამწამს უკანასკნელი ოფიციალურად გამოსთქვამს სურვილს მოლაპარაკების დაწყებისას. იაპონია სრულებით არ აღნიშნავს ზავის პირობებს და ამ პირობებზე სჯას არ იქონიებს იმ დრომდე, ვიდრე ორსავ სახელმწიფოს მთავრობები მოლაპარაკებას არ გაჰმართავენ და რუსეთი არ ითხოვს, რომ საფრანგეთმა შეატყობინოს იაპონიას, თუ რუსეთს მოლაპარაკების დაწყება ჰსურს, ან იქნება რუსეთმა მოინდომოს, რომ პრეზიდენტმა რუზველტმა თავის თავზე იკისროს ეს საქმე, ეგ-კია, რომ შუამავალს მხოლოდ მოლაპარაკების სურვილის გადაცემა შეუძლიან და ამის მეტი არაფერი. ყველა ხმა ზავის პირობებზე ნდობის ღირსი არაა და უფრო მეტს ზარალს მოიტანს, ვიდრე სარგებლობას.

პეტერბურგი. გენერალ ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა, 27 მაისის თარიღით: „არმიებში ცვლილება არ მომხდარა. ჩვენმა რაზმებმა მარცხენა ფრთაზე წინ წაიწიეს დაგუცზიაცზი—შიმიაოცზი—ტოუანგოუ—იულანცზიმდე. ვანხეგოუსთან, სადაც მტერმა წინააღმდეგობა გაუწია რაზმებს, იაპონელებმა ერთ-ერთ რაზმის უფროსი პოდპოლკოვნიკი შულჩიტენკო მოჰკლეს. დიდი ზარალია ამ ქველ, ნამდვილ მეომარ და თავგანწირულ, მამაც აფიცრის დაკარგვა“.

ვაშინგტონი, 28 მაისი. სახელმწიფო დეპარტამენტი ოფიციალურად აცხადებს იმ დეპეშის შინაარსს, რომელიც რუზველტმა 26 მაისს რუსეთსა და იაპონიას გაუგზავნა. პრეზიდენტი ჰგრძნობს, რომ დადგა დრო, როცა კაცობრიობის სასარგებლოდ უნდა ეცადოს და გამოარკვიოს, შესაძლებელია ბოლო მოეღოს საშინელ და მწუხარების ღირს ბრძოლას შორეულ აღმოსავლეთში, თუ არა. შეერთებული შტატები მეგობარი და კეთილის მნდომია როგორც რუსეთისა, ისე იაპონიისა; პრეზიდენტს კეთილდღეობა ჰსურს ორსავ სახელმწიფოსათვის და ესმის, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის ატეხილი ბრძოლა აბრკოლებს მსოფლიო პროგრესს. რუზველტი არწმუნებს რუსეთისა და იაპონიის მთავრობებს—კერძო ინტერესების სასარგებლოდ-კი არა, მთელის განათლებულ ქვეყნიერობის სასარგებლოდ—დაიწყონ პირდაპირი მოლაპარაკება შერიგებაზე და ეს მოლაპარაკება მხოლოდ პირდაპირ ორს მეომარს სახელმწიფოს შუა უნდა სწარმოებდეს. თუმცა პრეზიდენტს ესმის, რომ ზავზე მოლაპარაკებაში შუამავალი არ უნდა გაერიოს, მით მაინც რუზველტი მზადაა ყველაფერი გაარიგოს, რაც-კი შეუძლიან, თუ ორივე სახელმწიფო სცნობს, რომ პრეზიდენტის დახმარება სასარგებლო იქნებოდა შეთანხმების ჩამოსაგდებად წარმომადგენელთა შეხვედრისათვის ადგილისა და დროს დანიშვნის შესახებ. მთელი განათლებული ქვეყნიერობა ვედრებას დაიწყებს, რომ ხსენებულ შეხვედრას ზავი მოჰყვებს.

ტოკიო, 28 მაისი. რუზველტის წინადადება რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენელთა შეხვედრის შესახებ თანაგრძნობით მიიღო იაპონიის მთავრობამ. გარეშე საქმეთა მინისტრი კომურა თანახმაა რწმუნებულნი დანიშნოს ზავზე მოსალაპარაკებლად, თუ რუსეთი სურვილს გამოსთქვამს.

გუნჩჟულინი, 28 მაისი (საკუთარ. კორესპ.). ამბობენ, იაპონელებმა დილიდან დიდის ჯარით წინ გამოილაშქრეს ჩვენს მარცხენა ფრთაზე. შესაძლებელია, ეს ისეთივე დემონსტრაცია იყოს, როგორიც იაპონელებმა ჩვენს მარცხენა ფრთაზედვე მოახდინეს მუკდენის ბრძოლის დაწყების დროს და შემდეგ-კი უმთავრესი იერიში მარჯვენა ფრთაზე მოიტანეს.

პარიზი, 28 მაისი. „ტან“-ის აზრით, დადგა წამი, როცა იაპონიამ და რუსეთმა თავმოყვარეობა უნდა დაივიწყონ და ზავი შეჰკრან. „დება“-ს აუცილებლად მიაჩნია რუსეთისათვის რუზველტის წინადადების მიღება. თუ იაპონია მეტად დიდ მოთხოვნილებას წარადგენს, რუსეთის მთავრობას ეცოდინება მაინც რისთვის განაგრძობს ომსა და უფრო ადვილად დაარწმუნებს რუსის ერს, რომ ომის გაგრძელება საჭიროა.—ინგლისის ჯავშნიან გემების წამოყვანა ჩინეთის ზღვიდან ჰმოწმობს, რომ ინგლისს თავის ესკადრის გაძლიერება ჰსურს ევროპის წყლებში.—ერთის კვირის შემდეგ იოკასუკაში იაპონიის სამს კონტრ-ნაღმოსანს ჩაუშვებენ ზღვაში.

ტოკიო, 28 მაისი. ოფიციალურად ჰმოწმობენ, რომ იაპონიის მთავრობამ რუზველტისაგან წინადადება მიიღო ზავის ჩამოგდებაზე და გარეშე საქმეთა მინისტრმა კომურამ პასუხი გაუგზავნა. კომურამ უპასუხა, პრეზიდენტის წინადადებას სერიოზულად განვიხილავთ, საგრამ საზღვაო პირობამ სრულიად უნდა უზრუნველჰყოს ზავის სიმკვიდრე და იაპონიის მთავრობა მზადაა რწმუნებულნი დანიშნოს მხოლოდ რუსეთთან პირდაპირ მოსალაპარაკებლადაო.

ლონდონი, 29 მაისი. მეფე ედუარდმა გაუგზავნა რუზველტს მილოცვის დეპეშა, რომელშიაც სიხარულს აცხადებს იმის შესახებ, რომ ზავის ჩამოგდების იმედი ასრულდება.

ვაშინგტონი, 29 მაისი. რუსეთ-იაპონიის შორის ზავის ჩამოგდებას, ალბად, რამდენისამე დღის შემდეგ გამოაცხადებენ.

პარიზი, 29 მაისი. საფრანგეთის გაზეთების უმრავლესობამ მიულოცა რუზველტს

და დიდის სიხარულით დაუხვდა ამბავს იმის შესახებ, რომ რუსეთმა და იაპონიამ მიიღო რუზველტის წინადადება.

ტოკიო, 29 მაისი. როჟესტვენსკის ჯანმრთელობა დღითი-დღე უმჯობესდება. იმას მომავალ კვირაში კიოტოს გაჰგზავნიან.—ხმებია, როცა ნებოგატოვი ტყვედ წაიყვანეს, თავის მოკვლა მოიწადინაო.

ჰონკონგი, 28 მაისი. გემი „ლანგდატი“ იუწყება, რომ 28 მაისს დაინახა პედრა ბრანკოს ახლოს (სინგაპურის სრუტე) ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმავალი 14 სამხედრო გემი. მათ შორის იყო ჯავშნიანი გემი, კრეისერი, კონტრ-ნაღმიანი გემები და ტრანსპორტები.

ქრისტიანია, 27 მაისი (ბერლინიდან მიღებული ცნობა). მრავალის ხალხის თანადასწრებით გამოცვალეს დროშა აკეშუსის ციხეში. როცა ათი საათი შესრულდა, ჩამოუშვეს შვეცია-ნორვეგიის დროშა, ისროლეს ზარბაზნები და მუსიკა დაუკრეს. დამსწრეთ ქუდი მოიხადეს. შემდეგ აღმართეს ნორვეგიის დროშა. იგრიალეს ზარბაზნებმა, მუსიკამ დაუკრა ნაციონალური ჰიმნი, გაისმა „ურა“-ს ძახილი.

ვილნო, 28 მაისი. ახლად არჩეული ქალაქის საბჭო პროგრესიულ მიმართულებისაა.—ინტელიგენტებთან ერთად აირჩიეს დემოკრატიულ მიმართულების ხელოსნები. ბიუროკრატიულ პარტიის კანდიდატები გაშავეს.

კოპენჰაგენი, 27 მაისი. იმ შემთხვევაში, თუ მეფე ედუარდი გადაჭრით უარ-ჰყოფს თავის მოადგილედ ბერნადოტის გვარის პრინცის დანიშვნას, მეფის ასარჩევად მოწვეულ იქნება ნორვეგიელთა საერო კრება. შვეციის პოლიტიკას განიხილავენ რიკსდაგის საგანგებო სესიაში, რომელიც 7 ივნისს გაიხსნება.

ჰენრიკ იბსენი აღტაცებაში იყო, როცა გაიგო შვეცია-ნორვეგიის განცალკევების ამბავი. მან სთქვა, ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს სრულებით თავისუფალ ქვეყნის შვილი გავხდიო.

სარატოვი, 28 მაისი. არა ჩვეულებრივი კრება დაინიშნა შორეულ აღმოსავლეთში უკანასკნელ ამბების გამო და გადაწყდა, წარადგინონ შუამდგომლობა ხალხის წარმომადგენლების დაუყოვნებლივ მოწვევაზე.

ნოვოროსიისკი, 28 მაისი. საბჭომ დაადგინა ტელეგრაფით გაგზავნოს მოხსენება ხალხის წარმომადგენლების დაუყოვნებლივ მოწვევაზე.

29 მაისი.

პეტერბურგი, „პრავიტ. ვესტ.“-ის სიტყვით, 28 მაისს მეოთხე სხდომა ჰქონდა საგლეხო მიწათ-მფლობელობის განმტკიცების საგანგებო რჩევას; ამ სხდომაზე სჯა-ბაასი ჰქონდათ იმაზე, თუ რა დედა აზრი ედება ბრძანებას მიწათ-მოწყობისა და მიწათ-მფლობელობის მთავარ სამმართველოსადმი. ბრძანების შინაარსი სამ ნაწილათ იყოფა; ეს ნაწილები შეეხებიან მიწათ-მოწყობასა, მიწათ-მოქმედებასა და უწყებათა ორგანიზაციას. მიწათ-მოწყობის საკითხების გარჩევის დროს, ის მოსაზრება გამოითქვა, რომ ამ მაზნით მიღებული ზომები უნდა შეეფარდონ საგლეხო მიწათ-მფლობელობის პირობებს სახელმწიფოს სხვა და სხვა ადგილებში, ჩრდილოეთისა და შუაგულ ნაწილებში, სადა მიწის სიმცირეს არ აქვს ისეთი მწვავე ხასიათი, როგორც შავ-მიწისა და სამხრეთის გუბერნიებში. მთავრობამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ გაუადვილდეთ გლეხებს ხადლების შორის დასახლება; შავ-მიწის გუბერნიებში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს დახმარებას გლეხების მიერ ახალ მიწების შეძენაში და აგრეთვე იმას, რომ რაც შეიძლება ფართო ორგანიზაცია მიეცეს სახელმწიფო მიწებზე გადასახლებას უმიწა-წყლო გლეხებისას და გლეხთა მიწათ-მფლობელობის განმტკიცებას. რჩევა შეეხო საკითხს მამულების გამოსასყიდ თანხისას; ამასთან ეჭვი გამოითქვა დღემდე არსებულ სისტემის სისწორეში ზემოხსენებულ თანხის დაკლება-შეკრებაზე. სასარგებლოთ დაინახეს გამოსასყიდ თანხის ადგილას შემოიღონ განსაკუთრებული ფონდი იმ ფულიდან, რომელიც სახელმწიფო ხაზინას უნდა გადაედო ზემოხსენებულ თანხის შესამცირებლად. შემდეგი სხდომა 1 ივნისისათვისაა დანიშნული.

ბაქო, 27 მაისი. სპარსეთის შაჰმა გაიარა. ბალაჯარში გენერალ-გუბერნატორი ამილახორი, სენატორი კუზმინსკი, სამოქალაქო და სამხედრო მოხელეები დაუხვდნენ.

პარიზი, 29 მაისი. ბურჟუა დროებით მიდის ელჩად ბერლინში. ხმა დადის, მთავრობა ბეჯითად სთხოვდა ფრესინეს გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი მიეღო. მეფე ალფონსომ მშვიდობიანად გაიარა საფრანგეთზე.

ვარშავა, 29 მაისი. „კურიერ ვარშავსკი“ იუწყება: სახლის პატრონებმა და მდგმურებმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს, ვითხოვოთ, რომ ჩვენის საწევრო ფულით სასწავლებლის დაარსების ნება მოგვცენ და ამ სასწავლებელში სწავლება პოლონურ ენაზე სწარმოებდესო; წევრებად მხოლოდ მოწიფეთა მშობლები იქნებიან.

ორენბურგი, 29 მაისი. საბჭოს საგანგებო სხდომამ ერთხმად მიიღო პროექტი, რომელიც უმაღლეს მთავრობას უნდა წარუდგინონ. პროექტი შეეხება ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევასა და სახელმწიფოს მოწყობის სხვა საკითხებს.

30 მაისი.

რომი, 29 მაისი: მინისტრ-პრეზიდენტს ქუჩაში მტრული დემონსტრაცია გაუმართეს სოციალისტმა-რესპუბლიკელებმა. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს.

ნიკოლაევი, 29 მაისი. შავის-ზღვის მექანიკური და ქვაბების ქარხანა დროებით დაკეტეს მუშებთან უთანხმოების გამო. პირველად მრაწნელის გასუფთავებამ მოსპო მუშაობა.

კიევი, 29 მაისი. გალისეევის ტყეში, კიევიდან 4 ვერსტზე, სოფ. დემიევკის ახლო ებრაელების კრება აღმოაჩინეს. პოლიციის ძლიერმა რაზმმა 60 კაცი დაატუსაღა, უმთავრესად ახალგაზრდები, იმათ შორის 12 ქალი. მომეტებული ნაწილად ხელოსნები არიან. იპოვეს პროკლამაციები ებრაელთა „ბუნდი“-სა რუსულ და ებრაულ ენაზე. დატუსაღებულნი პოლიციის ნაწილში გაგზავნეს.

მოსკოვი, 29 მაისი. დღეს სოკოლნიკში მუშებმა დიდი კრება მოახდინეს. პოლიციამ გაფანტა მუშები, კალუგის საბაჟოს იქითაც მოხდა კრებები.

ბელოსტოკი, 29 მაისი. დღისით სურაჟის ქუჩაზე რევოლვერის სამის ტყვიით მოჰკლეს შეკსოვა, რომელიც პოლიციის აგენტობას ასრულებდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონიის ფლოტის გამარჯვების მნიშვნელობა. მეტად დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს იაპონიის ფლოტის უმაგალითო გამარჯვებას. ინგლისური გაზ. „სტანდარდ“-ი სწერს: რუსის ფლოტის მოსპობის შემდეგ, იაპონიის ფლოტმა მეორე ადგილი დაიჭირა მთელს ქვეყნიერობაზე. ინგლისის ფლოტის გარდა, იაპონიის ფლოტი არავის არ დაუვარდება. საფრანგეთისა, გერმანიისა და ამერიკის ფლოტი ვერას გახდებიან ძლევა-მოსილ, გამოცდილ იაპონელ მეზღვაურებთან. იაპონიამ სრული, უცილობელი ბატონობა მოიპოვა წყნარ ოკეანეში. ჩინეთს ეხლა ძლიერი მფარველი ეყოლება; იაპონია ამას იქით ბეჯითად ადევნებს თვალ ყურს, რომ ჩინეთს არავინ ხელი არ ახლოს“. („ო. ნ.“).

ადმ. ტოგოს საოცარი გამარჯვება დიდ გავლენას იქონიებს მომავალ სამხედრო მოქმედებაზეც. „ტაიმს“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: რუსის სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, იაპონელები მალე კუნძულ სახალინსა და ამურის შესართავს დაიჭერენ და მდინარე ამურით კანონირ გემებს გაგზავნიან ხაბაროვსკამდე და ვლადივოსტოკს ჩრდილოეთიდან გზას მოუჭრიან. ამ ნაირად იაპონელები ორ ცეცხლ შუა ჩააგდებენ გენ. ლინევიჩს. რუსის მთავარ შტაბს შესაძლებლად მიაჩნია ესეთი მანევრიო.

„ეკო დე პარი“ იუწყება: ერთმა უცხოელმა ოფიცერმა სთქვა, ცუსიმას შემდეგ წყნარ ოკეანის ნაპირები მთლად დაეკარგა რუსეთსაო. ერთად-ერთი ციხე—ვლადივოსტოკი დარჩა რუსეთს წყნარ ოკეანის ნაპირზე, მაგრამ არც ამ ციხის აღება გაუჭირდებათ იაპონელებს. მდინარე ამურიც იაპონელების ხელშიაო.

ყველა სამხედრო მიმომხილველი ერთხმად აღნიშნავს, რომ იაპონიის ფლოტის დიდებული გამარჯვება დიდ ზნეობრივ გავლენას იქონიებს ორსავე არმიაზე. რუსის არმიას მთლად გულს გაუტეხს, იაპონიის ძლევამოსილ და მრავალ დიდისა და სახელოვან გამარჯვებით აღფრთოვანებულ არმიას უფრო გაამხნევებს და ძალას გაუორკეცებსო. მართალია, როგორც რუსის კორესპონდენტები იუწყებიან, რუსის არმიას უმალვენ როჟესტვენსკის ფლოტის განადგურებას, მაგრამ ასეთი დიდი ამბის დამალვა შეუძლებელია: რუსის არმიას თითონ იაპონელები გააგებინებენ ცუსიმასთან მომხდარ ამბებს. („კ. ნ.“)

ხმები შერიგებაზე. „ტაიმსი“-ს სწერს: „ბოლო დროს ბეჯითად ლაპარაკობენ ზავზე და ბევრი თხოულობს, იაპონიამ ზომიერება უნდა გამოიჩინოს, პატივი სცეს დამარცხებულ მოპირდაპირის ეროვნულგრძნობას და სამხედრო კონტრიბუციის მოთხოვნით არ დაამციროსო. ჩვენ არა გვგონია მაინც, რომ საფრანგეთსა და გერმანიას ან რომელსამე სხვა სახელმწიფოს ეხლაც ჰსურდეთ იაპონიის წყენა, არა გვგონია, ეხლა ვინმემ გაბედოს და იაპონიას გამარჯვების ნაყოფზე ხელი დააბანინოს. ჩვენც ვიცით და მთელმა ქვეყნიერობამაც იცის, რომ „ამომავალ მზის ქვეყანას“ შეუძლიან იმ დრომდე იომოს, სანამ იმას არ მიიღებს, რასაც თხოულობს. რუსეთის მომხრეებმა ეხლაც თავიანთ საყვარელ ტაქტიკას მიჰმართეს, თუმცა ამ ტაქტიკას დღემდე არაფერი სარგებლობა არ მოუტანია: რუსეთის მომხრეებს იმედი აქვთ, რომ იაპონია ისეთ პირობას დასთანხმდება, როგორსაც არც ერთი სახელმწიფო არ დასთანხმდებოდა. ვინც იაპონიას უზომო მოთხოვნილებას სწამებს, იმას წარსული ავიწყდება. ათის წლის წინად ევროპის სახელმწიფოები რუსეთს შეუერთდნენ და იაპონიას თავის გამარჯვებაზე ხელი დააბანინეს. ეხლანდელი ომიც მაშინდელმა უსამართლო მოქმედებამ გამოიწვია. იმავე უსამართლობის გამეორება ნამდვილად გააჩენს „ყვითელ საფრთხეს“, რომლისაც, ეტყობა, ასე ეშინიანთ ევროპაში. ინგლისი ყოველთვის წინააღმდეგი იქნება ამნაირ გიჟურ პოლიტიკისა და უსამართლო დადგენილებისა. („რ“.).

მთავრობის განკარგულება

დებულება კავკასიის პოლიციის შესახებ.

1) კავკასიის პოლიციის გამგე თანაშემწეა ხელმწიფე იმპერატორის ნამესტნიკისა და მიენიჭება ამ თანამდებობის ყველა უფლება და უპირატესობა.

2) პოლიციის გამგე თვალ-ყურს ადევნებს ნამესტნიკის ხელმძღვანელობით, კავკასიაში სახელმწიფო წეს-წყობილებისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვას.

3) პოლიციის გამგეს ეძლევა წელიწადში 12 ათასი მან. ჯამაგირი.

4) პოლიციის გამგეს დანიშვნა და სამსახურიდან გადაყენება სწარმოებს უმაღლესის ბრძანებით. ხოლო ნამესტნიკი წარადგენს სამხედრო უწყების პირს ხსენებულ ადგილზე დასამტკიცებლად. პოლიციის გამგე ჩაირიცხება ჟანდარმთა ცალკე კორპუსში.

5 პოლიციის გამგე ნამესტნიკის ხელქვეითია და ამასთანავე სამხედრო დისციპლინარულის მხრივ ექვემდებარება ჟანდარმთა ცალკე კორპუსის უფროსს.

6) პოლიციის გამგეს აქვს საკუთარი კანცელარია, რომელმაც უნდა აწარმოვოს თავისი უწყების ყველა საქმე.

7) პოლიციის გამგეს ექვემდებარება ადგილობრივ საგუბერნიო, საოლქო და რკინის გზის გამგეობათა ყველა მოხელე და ციხეების ჟანდარმთა რაზმები იმ საკითხებში რომლებიც შეეხება სახელმწიფო დანაშაულობათა აღმოჩენას და გამოძიებას. ამ მხრივ პოლიციის გამგეს ეძლევა შემდეგი უფლებანი:

ა) იგი წარუდგენს ნამესტნიკს მოწონებით ჟანდარმთა ცალკე კორპუსის უფროსს დასაჯილდოვებლად თავის ხელქვეით ჟანდარმთა გამგეობების უფროსებს. ხსენებული უფროსები წარუდგენენ პოლიციის გამგეს დასაჯილდოვებლად თავის ხელქვეით მოხელეებს, რომელიც შემდეგ აწარმოვებს ამ საქმეს.

ბ) იმ პირების შესახებ, რომელნიც განსაკუთრებულ ჯილდოს ღირსნი არიან, პოლიციის გამგე მიმართავს ნამესტნიკს მოხსენებით.

გ) პოლიციის გამგე სამსახურიდან ათთავისუფლებს დროებით თავის ხელ-ქვეით მოხელეებს, დივიზიის უფროსის უფლებით.

8) ადგილობრივ ჟანდარმთა ყველა გამგეობის მოხელეთა დანიშვნა, გადაყენება, სხვა ადგილზე გადაყვანა სწარმოებს პოლიციის გამგეს წარდგენით, საზოგადო წესისამებრ, მხოლოდ იმ ცვლილებით, რომელიც აღნიშნული იქნება დებულებაში კავკასიის ნამესტნიკის შესახებ.

9) როცა ნამესტნიკი დროებით დაანებებს თავს სამსახურს, პოლიციის გამგე ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებლის ხელ-ქვეით იქნება.

(დასასრული იქნება)

ახალი ამბავი

✦ **სოფ. ხოვლე** აგერა ორი კვირაა, რაც აქ ისედაც დანგრეულ სკოლაში დაბინავდნენ ყაზახები თავიანთ ოფიცრებით. ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშია სოფელი: ორ თვეზე მეტია აქ შიმშილობაა როგორც ხალხისა, ისე საქონლისა. ახლა ყაზახ-რუსები და მათი ცხენებიც სარჩენი გაუხდნენ სოფელს. გლეხობა კარგა ხანია ჩვენში წყნარად და თავისთვის არის. მემამულეები ამბობენ, ჩვენ არ გამოგვითხოვია ყაზახებიო. შეუძლებელია ამ საქმეში თუ ყველა მემამულეს არა, ზოგიერთებს მაინც არ ედოთ წილი. ვიმეორებთ, ჩვენი სოფელი საშინელ მდგომარეობაშია: ერთის მხრივ—შიმშილი, მეორეს—გაჩეხილ ტყეების გამო გადასახდელი ფული და მესამეს—ყაზახ-რუსების და მათი ცხენების კვება.

✦ **შეტაკება თათრებსა და სომხებს შორის ერევანში** იმდენად მიწყნარდა, რომ 27-დან 28 მაისამდის კანტი-კუნტად-ღა ისმოდა სროლა. როგორც გამოძიებიდან აღმოჩნდა, ამ ორ დღეში მოკლული აღმოჩნდა მხოლოდ ერთი კაცი. 28 მაისს აქა-იქ დუქნები უკვე გაიღო.

✦ როგორც 28 მაისს, ისე გუშინ, 30 მაისს, ქალაქის შუაგულში **დაკეტილი იყო მაღაზიები და დუქნები**, რესტორან-ტრაქტირების გარდა. დილიდან ყასბებში ხორციც არ იშოვებოდა, ვინც იშოვა, 15 კაპ. ნაკლებ არ მისცეს. მოსალოდნელია ხორცი დღესაც არ იყოს. მედუქნეებს გადაწყვეტილი აქვთ, გაფიცვა განაგრძონ იმ დრომდე, ვიდრე სახლის პატრონები ქირას არ დაუკლებენ.

✦ 27 მაისს **ტფილისში ჩამოვიდა** კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი პეტერსონი.

✦ **რკინის გზის მთავრობას**, როგორც „კავ.“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, გადაუწყვეტია, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყოველ მოსამსახურეს წელიწადში ორი კვირა დასვენების ვადა მისცეს.

✦ შესდგა კომისია, რომელიც ამ ზაფხულს **გამოიკვლევს ამიერ-კავკასიისა** და კავკავის რკინის გზებს მიმოსვლის მხრივ. კომისიის თავჯდომარედ იქნება გზათა სამინისტროს წევრი.

✦ 26 მაისს **დიდ სეტყვას**, როგორც გვატყობინებენ, ძალიან დაუზიანებია გორის მაზრის სოფლები თორტიზა და ხელთუბანი. სეტყვას თითქმის სულ გაუნადგურებია ვენახები და ხეხილის ბაღები. დაზიანდა აგრეთვე ნათესობა.

✦ როგორც ოზურგეთიდან გვატყობინებენ, 28 მაისს, დილის 5 საათზე, ოზურგეთიდან ხუთ ვერსზე, ხუთმა კაცმა გაძარცვა ეტლით მიმავალი **ოზურგეთის მაზრის უფროსი ქელბაქიანი**. ქელბაქიანს წაართვეს რევოლვერი, ფულიანი პორტმონე, ნაბადი, ორი საათი და სხვა და სხვა ნავაჭრი.

✦ გუშინ დიდძალი **მდგმური და მაღაზია-დუქნების მოქირავე** იყო ტფ. მოურავის მოადგილეს თ.-ვ. ჩერქეზიშვილთან და გამოუცხადა საყვედური სახლის პატრონებზე. მდგმურები ამბობდნენ, სახლის პატრონები მევახშეებად გადაქცეულან და ჩარჩ.-ვაჭრებივით გვექცევიანო. ვაჭრებმა

ფელეტონი

კ ა ხ ე თ ი 1812 წ.

ისტორიული ამბავი

IX

აჯანყება, ანუ ოფიციალურად „ბუნტი“, რაკი დაიწყო, საკვირველი სისწრაფით ვრცელდებოდა. მისი ატეხა, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, პაულუჩჩიმ თ. ივანე ჩოლოყაშვილს დააბრალა. უკვე განსვენებულს რადას დააკლებდა და ნათესავებს მისწვდა გაჯავრებული მარკიზი. ივანეს ნათესავები, ბრძანებს მთავარ-მართებელი, სხვა და სხვა გაიძვერათობით ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ თიანეთის სამოურავო და ამის გულისათვის ხალხი წააქეზეს და მიავრობას მიუსიეს. ამგვარად ბუნტის ალი მოედო მთელს კახეთსაო. 85) აჯანყების მეთაურნი მიწის მგელსავით ხან ტყეში, ხან სოფელში, ხან მთაში განცდებოდნენ ხოლმე და ზოგს ტკბილი სიტყვით, ზოგს ძალითაც თავისკენ იბირებდნენ. ბოდბის-ხევლებმა და პრასიანელებმა პირდაპირ გამოუცხადეს მარკიზ პაულუჩჩის თავიანთ მოურავის ანდრონიკაშვილის პირით: ამბოხება თიანეთში დაიწყო და ჩვენამდე იქიდან მოვიდაო. შეგვეშინდა აკლება-დანიავებისა, ბევრი ხევსური კიდეც დაარბიეს და იძულებული ვიყავით მეამბოხეებს უკან გავყოლოდითო. რაკი კახელებმა საქმე წააგეს და რუსები თავიდან ვერ მოიშორეს, ქიზიყელებმა თავი მოიკატუნეს. ჩვენ რა, კრავები ვართ, თიანელები რომ არ უფიქლიყვნენ, ვითომც ხმასაც არ ამოვიღებდითო. გამოძიების დროს ტყუილად გაიტეხეს სახელი ქიზიყელებმა. მართალია, დაწყებით თიანელებმა დაიწყეს აჯანყება, მაგრამ ქიზიყელებმა გადააჭარბეს. სოფლად დაბნეულ საეგზეკუციო კამანდებს სინსილა გაუწყვიტეს და მეტი რაღა უნდოდათ. მაინც თავის მართლებამ ვერ გასჭრა და „ბუნტოვშიკები“ სასტიკად დაისაჯნენ.

ამბოხების ნაპერწკალი ალაზნის პირიდან გომბორის მთის ივრის ხეობას მოედო და ტფილისის მახლობელ სოფლებს უწია. რუსის მხედრობის სუსტი რაზმები დაიბნენ და რიგიან წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ აღელვებულის ერის ძალას. ამავე დროს წერილი წერილზე მოდიოდა ალექსანდრე ბატონიშვილისაგან. სპარსეთის ტახტის მემკვიდრე, შაჰზადა აბბას-მირზა მაცთუნებელ ფირმანებს უგზავნიდა ქართველებს. მოვდივარ თქვენ საშველადო, სწერდა აბბასი ქართველებს, ისხედ იყავით და ებრძოლეთ რუსებსა. დიდძალი ფულიც უკვე კაიხანაა, რაც გამოგიგზავნეთ.

აბბას-მირზას პროკლამაცია ფრიად საყურადღებო დოკუმენტია, ამბოხებას აორკეცებდა და ქართველობას იმედს უნერგავდა, რომ ტყუილად არ ჩაივლის განწირულის სულის კვეთება და თავიდან მოვიშორებთ დაუპატიჟებელ სტუმრებსაო. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია აქ პროკლამაციის გადმოთარგმნა მცირედის შემოკლებით. 86) დიდია და გძელი, მაგრამ რა ვუყოთ. მაშ სად და როგორ გაიცნოს ქართველმა კაცმა მისი შინაარსი, თუ არ ამ ისტორიულ ამბავში?

„უმაღლესი ბრძანება ქვეყანას მოეფინა“... ასე იწყება პროკლამაცია.

„გვეწყოთ, რომ ვიდრე თქვენი მიგრიკნი მოაღწევდნენ ერევანს და ერევნიდან ჩვენამდე თავრიზს, ჩვენ უკვე გვაცოდინა და მოგვახსენა ერევნის ბეგლარ-ბეგმა, მაღალხარისხოვანმა ჰუსეინ-ხანმა: დიდ მხნეობას და გაქაცობას იჩენენ ქართველები, ექვსი ათასი რუსის სალდათი ამოსწყვიტეს ქიზიყშა და რამდენიმე ზარბაზანი წაართვესო. ალექსანდრე-მირზამაც მოგვახსენა, რომ ჩემდამი ერთგულობას იჩენთ და ჩემის მოსვლის მოლოდინში ხართ. ამათობაში თავრიზს ჩამოვიდნენ შიკრიკნი აგეტიკ-ბეგი და გიორგი და მოგვახსნენს თქვენი გარემოება. 87). დავრწმუნდით თქვენს გაქაცობა-მხნეობაში და კეთილგონიერებაში. მივხვდით, რად ელაქუცებოდით რუსებს და ხმას არ იღებდით. ელოდით გაზაფხულის დადგომას, რადგან სწორედ გაზაფხულზე გვქონდა განზრახული მანდეთ წამოსვლა. გამოვცხადებთ და გეტყვით, რომ თქვენი სამსახური ერთი საუკეთესო სამსახურთაგანია. მაშ ესეც იცოდეთ, იმისთანა წყალობას მოგანიჭებთ, რომ სხვა წყალობა მასთან სახსენებელი არ იქნება ნათელით შემოსოს სახე და პირი თქვენი! ზამთარი გავიდა, გაზაფხული კარზე გვადგია. გამარჯვებას ჩვეული ჯარი უკვე მზადაა. ამ დღეებზე თავრიზიდან ავიყრებით, თან გვახლავს ზარბაზნები, რომელნიც ჯოჯოხეთსავით ნაპერწკალს აკვესებენ; მოგვყავს ცეცხლმფრქვეველი სარბაზნი და უშიშარი ცხენოსანი ჯარი. წამოვალთ ვითარცა ხილვარი, მთასა და ველს დედა-ბუდიანად რომ ჰგლეჯს. მაღალხარისხოვან ერევნის სერდარს და მაღალხარისხოვან ალექსანდრე-მირზასაც უბძანეთ ჩვენზე წინ წამოვიდნენ საქართველოსკენ გაწვრთნილი ჯარით. უფლის შეწევნითა და წყალობით ჩვენს მხედრობას და ქვეითა ჯარს რუსები ვერ გაუმკლავდებიან და ამ წელსავე მთელი საქართველო და ქალაქი ტფილისი გასუფთავდება მათის საძაგლობისაგან (დედანში: вся Грузія и г. Тифлисъ очистятся отъ ихъ гадостей) და ყოველი ქართველი, დიდი და პატარა, მოიპოვებს მეუდრო ცხოვრებას. სიცოცხლე, ქონება და სახელი მანდაურის მკვიდრისა ხელუხლებელი გახდება“.

პატარა შევისვენოთ. როგორდაც გეხამუშება და თან გეცინება, პროკლამაციის ამ ადგილს რომ ჰკითხულობ. სასაცილო როგორ არაა, გეთაყვათ. უჩიღბაში აბბას-მირზა ქართველობას ჰპირდება იმას, რასაც დღეს ბრალიანი და უბრალო ქუდმოგლეჯილი ღაქებს. სწორედ არ ეკადრებოდა კეთილშობილ მარკიზ პაულუჩჩის, დიდ ნაპოლეონის სარდალს, რომ ქართველობა დაანატრულა თვით პირველი კაცის უფლებას. მართალია, იმპერატორი ალექსანდრე პირველიც დაჰპირდა ქართველობას 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტით ბევრს კაი-კაებს, მაგრამ თუ რაიმე ათიოდე წლის განმავლობაში საგიზღბაშოდ გახდებოდა საქმე, ვგონებთ, ასეთს ამბავს ვიცე-კანცლერი სოლთიკოვი დღონიძეც ვერ წარმოიდგენდა.

შაჰზადა ბოლოში მოიხდის, აქამდისინ ვერ წამოველით, რადგან ჯარი და არტილერია მზად არ იყოო. ჩვენი სურვილია ერთი შეტევით გაჰქრათ რუსები, მათი სახსენებელი ამოვაგდოთ და მოვრჩეთ და მოვისვენოთო. ყარაბაღისაც ეხლა აღარ გვეფიქრება. ცოტა რამაა გასაკეთებელი, მაგრამ დაუმთავრებელს დაამთავრებს ყარადაღის საურაულო ჯარით.

„ამ ჟამად, ბძანებს აბბასი, ჩვენ სარბაზებს სულდი უკაწკაწებთ და მშიერ ლომსავით მონატრულნი არიან შეხვრიპონ საქართველოში მყოფ რუსების სისხლი. გავჩნდებით თუ არა მანდა, საქართველოს დავიმორჩილებთ, რუსის მთავარ-მართებელს და მის სალდათებს გავსწყვეტავთ, ან დავატყვევებთ. ამას შემდეგ თქვენ, ქართველებს, საშუალება მოგეცემათ, დასტკბეთ წყნარის ცხოვრებით და მოისვენოთ თავ-თავის ადგილას“.

„რუსების საქმე რაკი ცუდად წავიდა, წერილს წერილზე გვიგზავნიან და გვემუდარებიან, იარაღი დავყაროთ და ზავი ჩამოვაგდოთო. ხრიკებს მიმართეს რუსებმა, რომ თავი როგორმე დააძვრინონ განსაცდელსა. ასე მოუვიდათ რუსებს, რადგან კაი ხანია იწვნიეს თვალთაგან ცეცხლმფრქვეველ სარბაზთა დაკვრის სიმტკიცე და ჩვენდა ზარბაზანთა გრგვინვა, რომლის ძალა იალბუზსაც-კი ვერხვივით არყევს. რაკი რუსები მიხვდნენ, რომ გულნაკლული ქართველები, ყარაბაღელები და განჯელები ჩვენს მფარველობას რჩეობენ და რაკი ისიც გაიგეს, რომ ოსმალეთის სარასკირი დაიძრა ახალციხისა და იმერეთისაკენ ჩვენ მხედრობასთან შესაერთებლად, ზავის ჩამოგდებაზე გააბეს განძრახ მოთქმა-მოთქმა. არ დაუჯეროთ რუსებსა, ზავი მოჭორილი ამბავია. საქართველოსაკენ გადამქრება გადაწყვეტილი საქმეა, მოემზადეთ ჩვენ დასახვედრად და ქვეყანაზე ხმა დაარხიეთ, რომ მოვდივართ უძლეველი მხედრობით.“

ქართველები არც ისე ტუტუცნი იყვნენ, რომ ვერ მიხვედრილიყვნენ აბბასის პროკლამაციის ბაქიობას. კარგად იცოდნენ, რომ ყიზილბაშთა სარბაზნი თვალთაგან ცეცხლს უხეიროდ აკვესებდნენ, რომ მათის ზარბაზნების სროლისაგან იალბუზს ზანზარი არ გაუდიოდა. ბაბახანისა და აბბას მირზას დროის სპარსეთი ვედარ დომობდა. სამუდამოდ წარვიდა დრო დიდებისა და თავს ზარდამცემ შაჰ-აბასისა. ლანქარანში კოტლიარევსკი ეხაში რომ მძიმედ დასჭრეს სპარსელებმა, მაიორი ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზიშვილი ერთის ბატალიონით მოესია და სულ კუდით ქვა ასროლინა სპარსელებსა. განა მარტო ეს ამბავია საკვირველი, წარსულიდან სხვა უფრო ბევრ მაგალითს მოიგონებდა ქართველი კაცი, მაგრამ შაჰზადას პროკლამაცია დიდად მოქმედობდა ამბოხებაში გაბმულ კახელობაზე. მარტო იმედიც დიდი რამაა ბრძოლის დროს და იმედს-კი უხვად აძლევდა აბბასი რუსის მხედრობასთან მებრძოლ ქართველებს.

თელავს ჩაკეტილი რუსები დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ. კამენდანტ შმატოვის მეციხოვნენი, ძალზე შეთხელებული და შეპერტყილი რაზმები გრონსკისა და განსვენებულის ესიპოვისა დიდ ხანს ვერ გაუძლებდნენ აჯანყებულებს. მაშველი ჯარი ვინ იცის, როდის მოვიდოდა, ან მოვიდოდა-კი? მარკიზი შორს იყო საქართველოდან, ყარაბაღში საქმეებს არიგებდა, კახეთის ოლქის უფროსს, გენერალ პორტნიაგინს და მარკიზის მაგიერს ტფილისში გენერალ კლოტ-ფონ-იურგენსბურგს დავთრები აერიათ, ისე მოულოდნელად მოევლინათ „ბუნტი“, და არ იცოდნენ—როგორ მოეგვარებინათ წამხდარი საქმე.

ისიც დაუმატეს, რომ ამ ბოლო დროს ვაჭრობა დაეცა და თუ ქირა არ დაგვიკლეს, გადასახადებს ვერ გავიღებთო. ქალაქის მოურავის მოადგილემ აცნობა, რომ თვითმმართველობას უფლება არა აქვს მევახშეთა წინააღმდეგ მოქმედებისა, რადგან ეს საზოგადო კანონის საქმეაო. მდგმურები მაინც ამბობენ, რომ თვითმართველობა ზნეობრივად მოვალეა ხელი შეუწყოს მცხოვრებთა კეთილ მდგომარეობასაო. თავ. ჩერქეზიშვილი დაჰპირდა, გუბერნატორისაგან ნებას ავიღებ და კრება გავმართოთ მოსალაპარაკებლადაო.

◆ 29 მაისს პეტერბურგიდან ტფილისს **ჩამოვიდა პროფესორი ნ. მარრი** და „სევერნი ნომრებში“ ჩამოხტა. ბ-ნი მარრი ანში მიდის.

◆ **ფშავ-ხევსურეთის ბოქაული** ი. ოზიაშვილი, რომელიც საერობო დარაჯით ხევსურეთში გაუგზავნიათ, „ივერიის“ სიტ მძიმეთ დაუჭრიათ.

◆ ეს რამდენიმე დღეა **ბათუმში გაიფიცნენ ლაქიები და შინ მოსამსახურენი.** 27 მაისს გაფიცულთ მოსამსახურე ქალებიც შეუერთდნენ.

◆ როგორც „ივერია“ გადმოგვცემს, თავ. დ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილის შუამდგომლობა ალუძრავს რუსულ ენაზე გაზეთ **„ზაკავკაზსკაია პრავდა“**-ს გამოცემის შესახებ. ამ ახალ გაზეთის რედაქტორად, თუ, რასაკვირველია, ნებართვა მიიღეს, იქნება ბ-ნი მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი.

◆ როგორც გვატყობინებენ, **ეპისკოპოსი კირიონი** ამ ზაფხულს რუსეთიდან საქართველოში ჩამოვა. 28 მაისს ეპისკოპოსი უკვე წამოსულა ქალაქ ორიოლიდან.

◆ სოხუმში 24 მაისიდან, როგორც „ჩ. ვ.“ გადმოგვცემს, დაიწყო **საზოგადო გაფიცვა.** მაღაზიები და დუქნები დაკეტილია. გასასყიდი პური და ხორცი აღარ მოიპოვება.

◆ 29 მაისს ტფილისის საბჭოს ხმოსნები, ასე ორმოცამდე კაცი, და გამგეობის წევრნი და ტეხნიკოსნი წავიდნენ **წყლის მილის მოწყობილობის** დასათვალიერებლად ავჭალაში. დაათვალიერეს ახლად გაკეთებული ფილტრები, რომელიც მალე დაიწყებს მუშაობას, და მოიწონეს.

◆ ხვალ, 1 ივნისისთვის, დანიშნულია **კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა.** მორიგ საქმეების განხილვის გარდა, წაიკითხავენ სამ მოხსენებას.

◆ ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ მიწერილობანი დაუგზავნი მაზრის უფროსებს და უბრძანა, ახალ კანონის თანახმად, დაუყოვნებლივ შეუდგნენ **ქსენონების გადაკეთებას.**

◆ ომში დაჭრილ და დაშავებულ სალდათის დიმიტრი შელეგაის სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო 14 მან. და 50 კაპ. ბ-ნ თოფურიას მიერ შეკრებილი. შემომწირველთა სია: ნინო სოლ. მაღლაკელიძემ—2 მ., თითო მანეთი: უაფლან გ. თოფურიამ, ესტატე თ. თოფურიამ, ამურიზი ფ. წოწორია; მაქსიმე კვ. წოწორიამ, აგაფია კისილოვამ, ჯომა დ. გაწერელიამ; ათათი შაური: ა. ფ. წოწორიამ, ლუკა ლეძგვერაძემ, ერმილე პ. გოგელიამ, ლავრენტი პ. გვალიამ, ალექსეი პეტუროვმა, გიორგი ლ. ხარაძემ, ნესტორ ნადირაშვილმა, ვლადიმერ ჩოლაიამ, ალექსანდრე ჭიჭაღუამ, რუბენ ლალაქიშვილმა, პარასკევა ანდრეევნამ, ოლგა ბერეზნოვმა, ვლადიმერ ხაშიშვილმა, მადმაზელმა ელენემ, ანდრეიმ.

◆ წელს ტფ. რეალურ სასწავლებელში სწავლა დაამთავრა და მოწმობა მიიღო სულ 39 კაცმა. ამათში ოთხია ქართველი: ა. ბ. ძნელაძე, ეგ. ბადრიძე, გ. კოჩინაშვილი და მ. ხუტუნაშვილი.

◆ 28 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთში სომეხს ვარნაზიანცს და თათარს მირზა-ჰუსეინ-ოღლის. მოჩხუბართ ერთმანეთს თავები გაუჩეხეს. შეიკრიბა დიდძალი ხალხი. სამკურნალოში შემწეობის აღმოჩენის შემდეგ წინადადება მიეცა მოჩხუბართ შერიგებულიყვნენ, მაგრამ უარი განაცხადეს. 29 მაისს ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ჩერქეზიშვილისა და სპარსეთის კონსულის კანცელარიის მოხელის შემწეობით სომეხ-სპარსელი შეარიგეს.

◆ 29 მაისს, დილით, „არქსიანის თეატრში“ გოცირიძის გამგეობით, წარმოადგინეს დრამა „ცხოვრების გარეშე“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ქალებში უმთავრეს როლს ასრულებდა ქ-ნი ქიქოძე (პოლიას როლში). ეტყობოდა, პიესას დაჰკვირვებოდა. უფრო კარგი იყო მეოთხე მოქმედებაში. აგრეთვე კარგები იყვნენ: ქ-ნი ქუმსიშვილი ლუნიას როლში და ქ-ნი ივანაშვილი ელენა პეტროვნას როლში. კაცებში კარგად შეასრულეს თავიანთი როლები: ბ-ნი გოცირიძემ ოსიპ მზარეულის როლი, სარჯველაძემ—იაკოვ ლაქიისა და საყვარელიძემ ნიკიფორ მეეტლის. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. დიდი ხანია „არქსიანის თეატრში“ ამისთანა პიესა არ დადგმულა.

◆ 28 მაისს ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სკოლის მასწავლებელთა დაჯილდოვების საქმე გადასდოს წლის დამლევამდე რადგან ქალაქის კასაში ამ ჟამად ფული არ მოიპოვება.

◆ როგორც ვორონცოვის ძეგლთან, ისე ერევნის მოედანზე მუდამ ნახავს კაცი ჯიბგირებს, რომელნიც გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს გამვლელ-გამომვლელთ და თუ შეაგულეს ვისმე ფასიანი რამ, დაედევნებიან. ერევნის მოედანზე ამ დღეებში ამ რიგად შეაგულეს ფული მარიამ გუგუშვილისას და 200 მან. ამოაცალეს! პოლიციამ ჯიბგირები ალექსანდრე სომხიევი და არტემ პეტროსოვი უკვე დააპატიმრა.

◆ სად. ახტალა. 28 მაისს, როდესაც მატარებელი № 90/91 გადიოდა, მგზავრმა გაიხედა ვაგონის კარებიდან, მოხვდა ფარნის ბოძს და თავი გაიტეხა, მერე გადმოვარდა ვაგონიდან, ჩავარდა ვაგონებს შუა და მარჯვენა ხელი მოიტეხა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ 28 მაისს, საღამოს 9 საათზე, ვიღაც მაწანწალა ჯიბგირები ერევნის მოედანსა და პუშკინის ბაღს შუა მიეპარნენ გერმანიის ქვეშევრდომ ქალს მარგარიტა კაუფმანს და ხელიდან საფულე გამოჰგლიჯეს, რომელშიაც ყოფილიყო 740 მან. რუსული, ფრანგული და გერმანული ფული. კარგა ხანს ჩხრეკის შემდეგ ქურდები კოჯორის გზატკეცილზე დაიჭირეს. აღმოჩნდნენ ოჰანეზ კარაპეტოვი, ეფრემ ნაზარიანცი, მიხეილ სააკაძე, იოსებ ცოცხალოვი, სისაკ მრევლოვი, გიორგი ძნელაძე, არშაისხანოვი და არტემ გულიევი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

29 მაისი

ქუთაისი. ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ დაამტკიცა ანგარიში. მერე ბანკის გამგის მელნიკოვის თავმჯდომარეობით აარჩია კომისია. კომისიამ უნდა შეიმუშაოს შუამდგომლობა ბანკის მართვა-გამგეობის ნორმალურ წესის აღდგენის შესახებ.

კრებამ 78 ხმით 29 წინააღმდეგ დაადგინა, დააარსოს ტფილისში ბანკის განყოფილება და დანიშნოს ერთი დირექტორი და ერთი დამფასებელი ტფილისის გუბერნიის მამულებისთვის.

ჟორესი და პატრიოტიზმი *).

სოციალისტი ერვე წინააღმდეგია პატრიოტიზმისა და, როგორც ეგეთი, საერთაშორისო ძმობის განსამტკიცებლად ჰქადაგებს, რომ სათადარიგო ჯარის კაცებმა გაფიცვა უნდა მოახდინონ, ჯარში არ გავიდნენ, ვინც არ უნდა დაიწყოს ომი საფრანგეთს და ვინც არ უნდა შემოესიოს საფრანგეთის ტერიტორიასო. „პატრიოტი სოციალისტები ამბობენ, რომ მხოლოდ მაშინ გავლენ ბრძოლის ველზე, თუ ჩვენ ქვეყანას თავს დაესხმიანო; ჩვენ კი (ერვე და მისი მოაზრენი) არასოდეს არ გავალთ, ვინც არ უნდა დაიწყოს ომი“-ო, თამამად და გაბედულად გაიძახის გაფანატიკოსებული და დაბრმავებული მოტრფიალე ინტერნაციონალისმისა. ჟორესმა პასუხი გასცა ერვეს: 28 მაისს პერიანონის დიდ დარბაზში ოთხი ათასი კაცი შეიკრიბა და ჟორესმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. სამწუხაროდ, გაზეთებში სრულად არ არის მოყვანილი სოციალისტების ლიდერის ნალაპარაკევი, რომელსაც აღტაცებაში მოუყვანია შეკრებილი ხალხი. რაც მოყვანილია, ისიც მეტად საგულისხმიეროა და მოგვყავს ქართველ მკითხველის საყურადღებოდ. „გადაჭარბებული, ყალბი და პირდაპირ საშიში თეორიებიც კი მხოლოდ ქანც-გამოლეულ პარტიებს ვერის შიშის ძრწოლას. ერთ საუკუნეზე მეტია, რაც დემოკრატიული და ბურჟუაზიული რევოლიუცია მომზადდა იმ დროინდელ დაწესებულებათა დამნგრეველ კრიტიკით; ბუნებრივია, რომ სოციალისტური რევოლიუცია, რომელიც მზადდება, აძლევს ნიადაგს ყველა ეხლანდელ დაწესებულებათა კრიტიკისას. და თუ ჩემის მხრივ მოქალაქე ერვეს თეორიები სამწუხაროდ მიმაჩნია, იმიტომ კი არა, რომ ეს თეორიები ეხება კერპს, რომელსაც „სამშობლო“-ს უწოდებენ—თავისუფალ გონებისათვის არავითარი კერპი არ არსებობს. თუ ვკიცხავ ამ თეორიებს, მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლოს იდეას ანალიზის სინათლეს კი არ ჰფენს, პირიქით, აძლიერებს სიბნელეს და გაუგებრობას... ამიტომ არ მივმართავ რომელიმე ტრადიციულ ავტორიტეტს, ვიხელმძღვანელებ მხოლოდ ყველა სოციალისტებისათვის საერთო იდეით; სოციალურ რევოლიუციის თვალთა ხედვით...

წარმოვიდგინოთ, რომ სოციალიზმი განხორციელებულია, რომ კაცობრიობა შეიქნა ვრცელი კომუნისტური საზოგადოება, სადაც არც კლასობრივი ანტაგონისმია და არც ეროვნული. ამ საკაცობრიო საზოგადოებაში „სამშობლო“ არ გაჰქრება: იგი დარჩება როგორც ეროვნულ ნიჭიერების (génie) სალარო, როგორც ცალკე სახელოსნოები იმ მსოფლიო სახელოსნოსი, რომელსაც დაემზგავსება ჩვენი პლანეტა, როცა შრომის კუთვნილებად გადაიქცევა. კაცობრიობა, კომუნისტურად მოწყობილი უთუოდ ფედერატიულ პრინციპზე იქნება დაფუძნებული. დღეს სამშობლო ნაწილია კაცობრიობისა და ეს ნაწილი მხარს აძლევს ჯერ არ არსებულ დიდებულ, ჭეშმარიტ, ერთ კაციობრიობის მოწყობა-მოწესრიგებას... მართალია, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი სწერდნენ „კომუნისტურ“ პარტიის მანიფესტში, რომ „პროლეტარ“-ს სამშობლო არა აქვსო; მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ბუტადაა, 1847 წლის ეპოქისადმი მიმართული, როცა მშრომელი კლასსი მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას. „მანიფესტამდე“ იგივე მარქსი ამბობდა, თუ რამდენად საშიშია მუშათა კლასისათვის, როცა იგი თავის ქვეყნის სახელოვან ტრადიციას მოწინააღმდეგეთა ხელში სტოვებს“.

ორატორმა შესანიშნავად განავითარა ეს აზრი, მოიგონა გერმანიის და საფრანგეთის ბრწყინვალე გენიოსები და შემდეგ გადავიდა იმ პრობლემაზე, რომელიც ერვემ წამოაყენა, იმ კონფლიქტზე, რომელიც უნდა მოხდეს სოციალისტის სულში ომის გამოცხადების დროს. „ერვე მართალი იყო როცა ეს პრობლემა წამოაყენა: იგი სიდინჯითა და გულდამშვიდებით უნდა გამოვიკვლიოთ... მაგრამ რაშია ერვეს შეცდომა? ერვეს განზრახვა იყო მოერიგებინა მოვალეობა ეროვნული და მოვალეობა ინტერნაციონალური რევოლიუციონურად განწყობილ პროლეტარიატის შეგნებაში და ეს მორიგება იმით მოახერხა, რომ მოსპო სამშობლო. ეს საკითხის გადაწყვეტა არ არის...

— არა, ეს ნამდვილი გადაწყვეტაა საკითხისაო, მიმართა ერთმა ჟორესს.

— არა, არ არისო,—ენერგიულად გაიმეორა ჟორესმა,—ეს იმითიც მტკიცდება, რომ თვითონ ერვე ამბობს—წინააღმდეგი არ ვარ გერმანელი ვიქნე, მაგრამ არც ოსმალობა მინდა და არც რუსობაო... რატომ აქ გაჩერდა ერვე, რატომ ანალიზი უფრო შორს არ წაიყვანა, არ აღნიშნა განსხვავება მონარქიისა რესპუბლიკისაგან, რომელიც დემოკრატიის საბოლოო ფორმაა და რომლისადმი მიისწრაფვიან ევროპის ყველა პროლეტარები. რესპუბლიკა ის იარაღია, რომლის დამსხვრევის ნებას ჩვენ არ მივცემთ არც შინაურ რეაქციონერებსა და არც დასაპყრობად შემოსეულ მტერს...

კაცობრიობას ესაჭიროება როგორც გერმანელების, ისე ფრანგების თავისუფალი ნიჭიერება (génie). გერმანელი სოციალისტები *) დამნაშავენი იქნებიან კაცობრიობის შეურაცხყოფაში, თუ არ წინააღუდგებიან გერმანიაზე ძალმომრეობით მოსულ ფრანგებს; ასეთივე დამნაშავენი იქნებიან ფრანგები, თუ შესაფერ პასუხს არ გასცემენ შემოსეულ გერმანელებს. რაც არ უნდა სთქვათ, მოქალაქე ერვე, ჩვენ მაინც ფრანგები ვართ და გერმანელებად გახდომა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, თუ გერმანია დაგვიპყრობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ნამდვილი გერმანელები კი არ გავხდებით, არამედ მონა-გერმანელები. რასაკვირველია, საფრანგეთის პროლეტარიატს განთავისუფლების პირველ ეტაპად აწვდიან დესპოტისმის ახალ უღლის დადგმას...

ჩვენ უნდა ხელი შევუშალოთ მთავრობებს ომი დაიწყონ, უნდა ვქადაგებდეთ განუწყვეტლივ ომის წინააღმდეგ, უნდა ვებრძოლოთ ორ-აზროვან ეროვნულ ფორმულებს... ყოველ ჩვენ კრებაზე, ყოველ კონგრესზე უნდა გავაფრთხილოთ მმართველი კლასები, რომ პროლეტარიატის სინიდისი აღშფოთდება, თუ ომი იქნება დაწყებული. ამ გზით კატასტროფას თავიდან ავიცილებთ; მაგრამ თუ კატასტროფა მოხდა, საფრანგეთს ბედის წერას ვერ მივანებებთ და ვერ გავხდით უცხოელების შემოსევის მსხვერპლად. ჩვენი ერთად-ერთი სურვილია—ნიშანი მსოფლიო რევოლიუციისა, რომელიც სამშობლოს კი არ დაამახინჯებს, გაადიდებს და შეუერთებს ახალ კაცობრიობას, გაერთიანებულ სამშობლოებს, გაბატონებულ შრომის ძმურ სამართლიანობით შერიგებულებს“.

---

*) იხ. „ნ. ე.“

*) ბებელმა ერთხელ სთქვა—თოფს გავიდებთ მხარზე და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ, თუ ვინმე განიზრახავს ცოტა რამ ჩამოგლიჯოს ჩვენ ტერიტორიასო.

ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება.

29 მაისს, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება. როგორც წაკითხულ ანგარიშიდან სჩანს, 1904 წელს ბანკს გაუცია 478 გრძელ ვადიანი სესხი 3,607,000 მანეთისა, ე. ი. წინა წლისაზე 2,493,000 მან. ნაკლები. მოკლე ვადიანი სესხია მიცემული 67 სოფლის მამულზე 87020 მან., 14 ქალაქისაზე—143,000 მან. საანგარიშო წელს ბანკს შემოუვიდა სულ 538,515 მან. 9 კაპ., წმინდა მოგება ბანკისა იყო 282,673 მან. 49 კაპ. წლის დამლევს ბანკს ძირითადი თანხა ჰქონდა 579,668 მ. 59 კ., სათადარიგო—704,492 მან. 50 კ., საზოგადო საჭიროების თანხა—100,137 მან. 87 კაპ., სამეურნეო—28,610 მან. 48 კაპ. და სხვა. იმ მამულებიდან, რომელნიც ბანკს დარჩენია საანგარიშო წელს, შემოსულა მხოლოდ 28,354 მ. 22 კაპ.; ამ მამულებზე ბანკს უზარალნია 129,273 მან. 28 კაპ. ეს ფული დახარჯულა მამულების სხვა და სხვა გადასახადების გასასტუმრებლად, აქვე ითვლება ბანკის დარჩენილი ფული და სხვ.

რამდენისამე შენიშვნის შემდეგ კრებამ დაამტკიცა ანგარიში. წასულ წელს ბანკის რწმუნებულთა კრებამ აარჩია კომისია და დაავალა ბანკზე დარჩენილ მამულების რევიზია და იმის გამორკვევა, თუ რა მიზეზით დარჩა ბანკზე ამდენი მამული. კომისიამ კრებას საყურადღებო მოხსენება წარუდგინა. კომისია სწერს, რომ მეტად არა სასურველ მდგომარეობაში ჩააყენა ბანკი გამგეობის კანცელიარულმა და კაბინეტურმა მოქმედებამ. ტფილისში ფეხი მოიკიდა ერთმა წრემ, რომლის წევრნიც, გამდიდრების მადით აღძრულნი, ჰარიარად სახლებს აშენებენ, ბანკებში აგირავებენ, კარგა ბლომა ფულს იღებენ და შემდეგ მამულს ბანკში სტოვებენ. ტფილისში ამ „ხელობას“ მისდევენ თურმე სამსახურს გარეშე მყოფი ფერშალი ხოლზოვი, ავაქოვი, არუთინოვი, რემეზოვი, ხოჯამიროვი, პარასკევაშვილი, ცაპინი, ბაბაევი და სხვანი. როგორღაც ახერხებენ ბანკებიდან ფულის გამოტანას. გამგეობაც არუთინოვებისა, ხოლზოვებისა და მსგავსთა გამდიდრების მადას ხელს უწყობს, რადგან დამფასებელ კომისიის ნამოქმედარს და სახლის პატრონების ცნობებს სახლების დაგირავების დროს კანცელიარულის საზომით ეკიდება და არა სცდილობს შეამოწმოს ყოველივე. გამგეობას, მაგალითად, არ შეუმოწმებია, და არ მოუთხოვნია საბუთები, როცა სესხად მიუცია ხოლზოვისათვის—140,000 მან., ბაბაევისთვის—90,000 მან., ხოჯამიროვისათვის—70,000 მან. და სხვ. იგი დაკმაყოფილებულა დამფასებელი კომისიის მიერ შედგენილ აქტებით. ხოლზოვს 5 სახლი მიუტოვებია ბანკზე. სწრაფად, უგეგმოდ ხოლზოვი დიდ სახლებს აგებდა ქალაქში, ბანკს უგირავებდა, კარგა დიდ თანხას იღებდა, ასეთ დიდ სახლებით გამგეობა და დამფასებელი კომისია კმაყოფილნი რჩებოდნენ და დიდ სესხს აძლევდნენ. ხოლზოვს ერთჯელ ბა-

---

უფერულად მიმდინარეობდა გულ გამაწყალებელი ალყა თელავისა. ვიდრე იერიშს მიიტანდნენ მაიორ შმიტოვის მეციხოვნე ჯარზე და თვით ციხეზე, მეამბოხეებმა, როგორც „განათლებულ ერთა წესი და რიგი“ მოითხოვს, კამენდანტს შეუთვალეს—ჯიუტობა არას გარგებს, საშველი არსაიდანაა, დაგვნებდი და სიცოცხლეს გაჩუქებთო. ვინაიდან სამშობლო ისტორიის [illegible] საყურადღებოდ მიგვაჩნია, სავსებით მოვიტანთ კახელ მეამბოხეთა შეთვლას,—ციხე ჩაგვაბარეთო. აქტებში, სამწუხაროდ, მხოლოდ ძველი უვარგისი რუსული თარგმანია და ბეჭდილი, დედანი კი სადაც გადუკარგავთ და რედაქტორს არ დაუბეჭდია.

აი რა შეუთვალეს მეამბოხეთ თელავის კამენდანტსა და ისპრავნიკს: „ბატონო თელავის კამენდანტო და ისპრავნიკო! საერთოდ აქ შეკრებილნი გიფიცებით უფალს, წმიდა ჯვარსა და სახარებას, თუ ჩვენ რჩევას დაიჯერებთ და მშვიდობით გამოხვალთ ციხიდან, არას დაგიშავებთ და როგორც ძმასა და საკუთარ მამას არ გაწყენინებთ, აგრეთვე თქვენ ცოდოში არ ჩავდგებით. კარგად იცოდეთ, საცა კი რუსის ჯარი იდგა: ქიზიყში, არაგვზე, საგარეჯოს, მტკვრის გაღმა, კახეთში და ქართლში, ყველგან ამოსწყვიტეს და მათი სახსენებელი ძირიანად ამოკვდეს. სადაც დამორჩილდნენ და ქედი მოიხარეს, სიკვდილს გადარჩნენ და განთავისუფლდნენ. ფიცით გარწმუნებთ, გამოხვალთ თუ არა ციხიდან, მშვიდობით გაგისტუმრებთ. თუ გაჯიუტდებით და რჩევას არ შეისმენთ, თქვენ იცით; ჩვენ ჩვენი ვალი შევასრულეთ. იცოდეთ-კი, რომ დღეიდან მოლაპარაკებაზე ხელს ავიღებთ და ერთს სიტყვასაც აღარ მოგაწვდით. ხომ ჰხედავთ ამ შეკრებილ ჯარსა, ყველანი თქვენ საწინააღმდეგოთ შეიკრიბნენ აქა. გვერწმუნეთ, თქვენ ვეღარა კიხსნით რა ,ან ვინ მოგეშველებათ! რა სარფაა ტყუილ-უბრალოდ სიკვდილი“. 88.)

კამენდანტ შმიტოვს პასუხი გაუგზავნია მეამბოხეთათვის. რას სწერდა მაიორი შმიტოვი, არ ვიცით, ან რას მისწერდა მაშინდელი მაიორი თუ არა იმას,—ნუ „ბუნტობთ“, დამორჩილდით კანონიერ მთავრობას, ნუ ჰღუპავთ ცოლებს და შვილებს და სხვა. შმიტოვის პასუხს ძალზე გაუჯავრებია მეამბოხენი და მეორედ ასე შეუთვლეს: „კამენდანტო, ისპრავნიკო და საერთოდ მანდ შეკრებილნო! თქვენი წერილი მივიღეთ და შევიტყვეთ—რასაც გვირჩევთ. სწორედ ტუტუცი უნდა იყვეს ამისთანა წერილის დამწერი, (დედანში: „писано по глупости“). კარგა ხანია, გიცნობთ, რა შვილებიც ბრძანდებით და ბავშვივით აღარ მოგვტყუვდებით. გაიგეთ და შეიტყვეთ, რომ მარტო ჩვენ კი არა ვართ თქვენი წინააღმდეგი, მთელი კახეთი, ქართლი ფეხზე დადგა თქვენ გასაწყვეტად, რადგან მხეცურად გვაწიოკებდით და სულსა გვხდიდით. (დედანში: „звѣрское притѣсненіе“). ჩვენი და თქვენი შერიგება შეუძლებელია. კმარა: მახეში აღარ გაგებმით და არ მოგტყუვდებით. ისიც იცოდეთ, რომ მარკოზი მოჰკლეს ყაზახელებმა სოფ. სალაოღლუში. 89.) ქიზიყში რაც რუსის ჯარი იდგა, სულ გაანადგურეს ქიზიყელებმა და ჭარელ ლეკებმა. აგრეთვე გაიჟლიტა რუსის მხედრობა ბორჩალოსა, ქართლსა, საგარეჯოსა და არაგვზე, თქვენი მაშველი და თანაშემწე აღარავინაა. რადგან ქრისტიანები იყავით, (ალბად, ცუდათაა რუსულად ნათარგმნი ეს ადგილი, თორემ განა ამბოხების დროს რუსები გათათრდნენ? რუსულად ასეა: вы были христiане), არ გვინდოდა თქვენი სისხლის დათხევა ტყუილ-უბრალოდ და გირჩევთ: მოკეთე აღარა გყავთ, ყველანი თქვენი მტერი და წინააღმდეგი ვართ. თუ ნებაყოფლობით გამოხვალთ ციხიდან, სიცოცხლეს გაჩუქებთ და არავითარ ზიანს არ მოგაყენებთ. უკეთუ რჩევას არ შეისმენთ, არავის დაგინდობთ და სულ გაგჟლეტავთ. ციხიდან ფეხს არ მოგიცვლით, აზრად არ გაიტაროთ ფიქრი, რომ ციხის აღებას ვერ მოვახერხებთ. ჩვენი განზრახვა და აზრი ისაა, რომ ვინც კეთილშობილი თქვენგანი გამოვა, კეთილშობილურადაც მოვექცევით და პატიოსნურად გაცხოვრებთ. ტყუილად თავს ნუ ამოიღლეტავთ,—არა, სულელები ნუ კი გგონივართ,—რით ვერ გაიგეთ, რომ ჩვენის ხელიდან ვეღარავინ გიხსნის და რაზე უნდა ამოსწყდეთ. რჩევით ამას გირჩევთ და ახლა თქვენ იცით. იყვეს ნება თქვენი“. 90).

მაიორ შმიტოვმა კახელ მეამბოხეთა ულტიმატუმი არ მიიღო, რჩევა არ შეისმინა და ციხეში უფრო მაგრად ჩაიკეტა. ჩაკეტით ჩაიკეტა შმიტოვი ციხეში, მაგრამ გაძლება-კი ძნელი იყო. კაცს კაცზე ჰგზავნიდა საგარეჯოსა და ტფილისს, ჩქარა მომეშველეთ, თორემ გაძლების სახსარი აღარა მაქვსო.

გენერალ პორტნიაგინს ტფილისიდან მიუვიდა ს. საგარეჯოს ორი როტა ჯარი სამის ზარბაზნით. მოსულებს მიუმატა ეგერთა ერთი როტა და აპირობდა თელავში გაგზავნას შმიტოვის საშველად. რადგან აჯანყება თელავის მაზრიდან სიღნაღისაში გადავიდა, ორი მაშველი როტა ეცოტავა პორტნიაგინს და შეუთვალა ბარონ კლოდტს—კიდევ მომაშველე ორი როტა ზარბაზნებითაო.

რაღა მოგაშველო, როცა ტფილისში სულ ექვსი როტა ჯარი მყავსო, შეუთვალა ბარონმა პორტნიაგინს. ტფილისი საქართველოს უპირველესი ადგილია და უჯაროდ ხომ ვერ დავტოვებთ. ამისათვის უბრძანა კახეთის ოლქის უფროსს, წინად რომ ხერსონის პოლკის ორი როტა ჯარი მოგაშველე, შეუერთე საგარეჯოში მყოფ ჯარებსა, შემოიკრიფე აგრეთვე სხვადასხვა სოფლად გაბნეული წვრილ-წვრილი რაზმები და ტფილისს დაბრუნდიო. შეშინებულ ბარონს სრულიად დაავიწყდა ციხეში გამომწყვდეული შმიტოვი, იმის ფიქრსა და დარდში იყო, როგორმე ტფილისი შეენარჩუნებინა და საქმე ასაბარგებლად არ გახდომოდა. ქართლის ოლქის უფროსს გენერალ-მაიორ სტალს იმავე ბარონ კლოდტმა მისწერა, ქართველ გრენადერთა პოლკის ორი როტა ტფილისში გამომიგზავნე და ორი როტაც მაგავე პოლკისა ერთის ზარბაზნით დართის-კარში (მცხეთის ახლოს) გაგზავნე, რომ თვალ-ყური დაიჭირონ არაგვის მარცხენა პირზე მდებარე სოფელ ბულაჩაურზე და ხელი შეუშალონ მეამბოხეთა შეერთებას ქართლელებთან. ბამბაკის ოლქის უფროსს გენერალ-მაიორ ლისანევიჩსაც მისწერა ბარონმა, ფიცხლავ მომაშველე ერთი ბატალიონიო.

მაიორი შმიტოვი კი დახმარებას თხოულობდა. ს. ანაგას დაბანაკებული დონელ ყაზახთა მერვე პოლკი პოზდეევისა უნტერ-შტაბ-ესაულ კუზნეცოვის უფროსობით თელავისაკენ გაემართა, მაგრამ აჯანყებულებმა გზა მოუჭრეს, ანაგის პურის მაღაზიებს ცეცხლი წაუკიდეს და კუზნეცოვი ისე დაამარცხეს, რომ ცოცხალი ძლივს გადარჩა. გულ-გახეთქილი კუზნეცოვი რამდენიმე ყაზახითა და ბარგით მაიჭრა საგარეჯოს, სადაც ბინა ჰქონდა დადებული ნარვის დრაგუნთა პოლკს. მანავისა და კაკაბეთის იდგნენ ამავე პოლკის ესკადრონები. მეამბოხენი შემოერტყნენ დრაგუნებს და სულ გასწყვეტავდნენ, რომ მაიორ კორობსკის არ მოესწრო საგარეჯოდან ხერსონის პოლკის ერთის როტით. კაკაბეთში ერთი ესკადრონი იდგა, გადარჩა სიკვდილს მხოლოდ 17 დრაგუნი. ესკადრონის უფროსი მაიორი მარტინოვი მძიმედ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა. მანავისა და კაკაბეთის ყაზარმები დასწვეს, ხოლო დრაგუნების ავეჯი, ტანსაცმელი, აგრეთვე ცხენთა მოკაზმულობა ხელთ იგდეს და დაიტაცეს. საგარეჯოსაკენ წამოსულ მაიორ კორობსკის მეამბოხენი მოსვენებას არ აძლევდნენ და ფეხ-და-ფეხ მისდევდნენ თოფის სროლით, თითქოს ნეფე-დედოფალს ატიდებენო.

მთავრობას გაუჭირდა. კრიტიკული მომენტი, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი დრო დაუდგათ რუსებსა. გაჭირვების ჟამს მოიგონეს სამაზრო მარშლები, მოურავები და ქადაგები დაუგზავნეს, ყოველი ღონე იღონეთ, ეგები როგორმე ხალხი დააწყნაროთო. კაპიტან-ისპრავნიკებს კი მისწერეს, შეჩერეთ სასურსათო პურის მოკრეფაო. პატივცემულ თავადებს და სასულიერო გვამთ ეხვეწებოდა მთავრობა, დაგვეხმარეთ, ჩააგონეთ რამე ხალხსა და ხელი აღებინეთ ამბოხებაზეო, მაგრამ აღარა სჭრიდა ტკბილი სიტყვა და ჩაგონება. მოციქულებს ზუზუნა ტყვიას უგზავნიდნენ და ახლოსაც არ იკარებდნენ სალაპარაკოდ. თელავისა და სიღნაღის ამბების გასაგებად ბლომად გაიგზავნა შიკრიკი და ენატანია, მაგრამ ვაი თქვენს მტერს, რაც ამათ ბედი დაემართათ. სადაც კი მოასწრებდა გაბოროტებული და გაალმასებული ხალხი ენა ტანიას, ან მთავრობის შიკრიკს, იქვე განუკითხავად ანდერძს უგებდა და წუთი-სოფელს ასალმებდა.

ა. ფრონელი.

85.) Акты, ტ. V, გვ. 107.

86.) სიტყვა პროკლამაცია ჩვენი მოგონილი არ გეგონოთ. სწორედ ეს სახელი ჰქვიან აბბასის წერილს. იხ. Акты, ტ. V, გვ. 86—88. ჯერ სპარსული ტექსტია დაბეჭდილი და შემდეგ რუსული თარგმანი. ქართულიც იქნებოდა, მაგრამ ვინ იცის სადაა იგი. სტილი პროკლამაციისა სწორედ რომ სპარსულია, ფერადოვანი, გაბერილი, ზვიადი.

87.) ეს ის ავეტიკაა, რომლის წერილიც ზემოდ იყო მოყვანილი; ვინაა გიორგი, არ ვიცით.

88.) Акты, ტ. V, გვ. 81—82.

89.) ს. სალა-ოღლი, ანუ სალახლუს ვითარება იხილე ა. ყ—ძის წერილში „საქართველოს მეფეთა ბრძანებანი“, „მოამბე“, 1900 წ., № 6. სალახლუ ყაზახის მაზრაშია, რომელიც მეფეთა ერეკლე და გიორგის დროს საქართველოს ნაწილი იყო. იგი ვექილაანთ გვარის წინაპრებისთვის უწყალობებია მეფე ერეკლეს. ქართულად ამ სოფელს სალალი ჰქვიან.

90.) Акты, ტ. V, გვ. 82.

91.) ibid. ტ. V, გვ. 69—71.

ნკზედ არჩენილი სახლი თავის თავზე გადაუტანია, ცოტა შეუკეთებია, ბანკიდან სესხი გაუტანია და სახლი მეორედ მიუტოვებია ბანკზე. ამ სახლის შესაფასებლად მთელი დამფასებელ კომისიის ნაცვლად თავმჯდომარე და ერთი წევრი მასულა მხოლოდ. დამფასებელნი სრულებით ვერ არჩევენ კარგს ცუდისაგან და უხეირო სახლს დიდ ფასს ადებენ. კომისიის დაფასებით ერთ სახლს, მაგალითად, შემოსავალი უნდა ჰქონოდა 12,000 მან., ნამდვილად ჰქონდა-კი 4000 მან. კომისია დასასრულ სწერს, რომ თვითონ გამგეობაც არავითარ ფხას, მხნეობას და საქმიანობას არ იჩენს სესხის გაცემის დროსაო. სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო საპასუხო განმარტებანი შეუდგენია დამფასებელ კომისიას, გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეს. რადგან არც ერთი მოხსენება არ იყო დაბეჭდილი და წევრებმა ადრევე ვერ გაიცნეს, კრებამ დაადგინა, 2 კვირით გადასდოს ამ საქმის განხილვა. ამ დროსთვის მთელი საქმის შესახები მასალა უნდა დაიბეჭდოს. ამის გამო კრებამ საჭიროდ დაინახა რწმუნებულთა არჩევნების გადადებაც

კამათი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ.

28 მაისს იურიდიულ საზოგადოების სხდომაზე განაგრძეს კამათი ბ. გრუზენბერგის ცნობილ რეფერატის შესახებ. ამ სხდომაზედაც გრუზენბერგის წინააღმდეგ გამოილაშქრა ბ. კალჩევსკიმ, რომლის თვითეული სიტყვა თვალწინ გიხატავდათ ძველი დროის მოხელეს, „ДУМНЫЙ ДЬЯКЪ ВЪ ПРИКАЗАХЪ ПОСѢДѢЛИ“-ს. ბ. კალჩევსკის იგივე განდიდების მანია სჭირს, როგორც ბ.ბ. სუვორინს და იმის ამქარს. იმის აზრით, კავკასია ველურ ხალხის სამკვიდროა, რომელსაც მხოლოდ განათლებული მოხელეს შეუძლია მოჰფინოს ნათელი. აქაური უბრალო მკვიდრნი ვერ შეიგნებენ ნაფიც მსაჯულის მოვალეობასაო, ბძანა ბ-ნმა კალჩევსკიმ და მოიყვანა მაგალითად ცნობილი მოგზაური ველურთა ქვეყანაში ლივინგსტონი, რომელმაც, რასაკვირველია, მოკლე ხანში გაიცნო ველურთა ზნე-ჩვეულება და ისა, თუ როგორ უნდა მოეპყრობოდა ამ ხალხსაო. კალჩევსკის აზრით, განათლებული რუსიც მალე გაიცნობს კავკასიის ვითარებას, აქ დასახლებულ ხალხთა ხასიათს და სასამართლოში საქმის გარჩევის დროს ნამდვილ მსჯავრს დასდებს.

როგორც ძველი მოხელე, ბ. კალჩევსკი დიდი თაყვანისმცემელია ავტორიტეტებისა, უმაღლეს ხარისხზე მდგომ კაცებისა. ახლაც მოიყვანა იმან ცნობილ ავტორიტეტების სახელები დაუსაბუთებლად და სთქვა, ისინი წინააღმდეგნი იყვნენ კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა და ამიტომ ამ სასამართლოს შემოღება შეუძლებელიაო.

შემდეგ ორატორმა სთქვა: სრულებით არაფერი მითქვამს კავკასიის ერთა შორის მტრული განწყობილების შესახებ. მათ შორის მხოლოდ განხეთქილება, ერთმანეთის გაუგებრობაა. ამიტომ ხალხიდან არჩეული ნაფიცი მსაჯული სამართლიანად ვერ განსჯის უცხო ტომის დამნაშავის საქმეს, უფრო თავისიანებს მიექცევა, როგორც დედა თავის შვილსაო. ორატორმა გაიხსენა სტუდენტთა დამხმარებელ ტფილისის საზოგადოებაში მომხდარი შემთხვევა და სთქვა, უბრალო მიზეზის გამო აქ ქართველები და სომხები აიშალნენ და მხოლოდ რუსებს ეჭირათ სანეიტრალო პოზიციაო.

შემდეგ ბ. კალჩევსკიმ ისევ მიმართა ავტორიტეტს და სთქვა, ამა და ამ მოხელეს აზრით ქუთაისის გუბერნიაში ძალიან გავრცელებულია ბოროტ-მოქმედება. ხალხი ვნებათა ღელვითაა გატაცებული.

მსმენელს ის დასკვნა უნდა გამოეყვანა ბ. კალჩევსკის სიტყვებიდან, რომ, მაშასადამე, ხალხს აქ სამართლიანობის შეგნება არა აქვს. როცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უცხო ტომის დამნაშავეს სასჯელს გადაუწყვეტს, უკანასკნელი ან იმის ნათესავები შურს იძიებენ მსაჯულებზეო, დაასრულა ორატორმა თავისი სიტყვა.

ბ. კალჩევსკის პასუხი გასცა რეფერენტმა ბ. გრუზენბერგმა, და აღიარა იგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პრინციპიალურ მოწინააღმდეგედ. ცხოვრებაში ასეა უოველთვის, სთქვა ორატორმა, როცა მზე ამოდის, წყვდიადის მოტრფიალენი თვალს ვერ ახელენ, სცოდავად აფათურებენ ხელებს და ამაოდ სცდილობენ დაახშონ მზის შუქიო.

ვსთქვათ, კიდევაც რომ მოხდეს ისეთი მაგალითი, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უდანაშაულო უცხო ტომის კაცს სასჯელს გადაუწყვეტს,—ამ შემთხვევაში სახელმწიფო მსაჯულებს უფლება აქვთ გააუქმონ ნაფიც მსაჯულთა განჩინება და ხელმეორედ გაარჩევინონ საქმე სხვა ნაფიც მსაჯულთაგან შემდგარ სამსჯავროსაო,—სთქვა ბ. გრუზენბერგმა. ნაციონალური განხეთქილება უოველთვის საქმის დასაბრკოლებლად მოჰყავთ ჩვენ მოწინააღმდეგეებს. იგი მხოლოდ ჯოხია მათ ხელში, რომლითაც პროგრესის ეტლის გაჩერებას სცდილობენ. თავის დღეში არსად არ მომხდარა, რომ დამნაშავედ ცნობილს გამოეცხადებიოს, უცხო ტომის ხალხმა პირ-მოთნედ გაარჩია ჩემი საქმე და უდანაშაულო სასჯელი გადამიწყვიტაო. ბ. კალჩევსკის არ სჯერა, რომ ხალხში ცოცხლობს გრძნობა სამართლიანობისა, გონიერება და პირ-უთვნელობა. ის ავტორიტეტები, რომლებიც მოიყვანა ბ. კალჩევსკიმ, ორმოცი წლის წინად ცოცხლობდნენ, მას აქეთ ცხოვრებამ დიდი ნაბიჯი წასდგა წინ და ძველი აზრებით გამსჯელვა უძრაობას ნიშნავს.

რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, იქაური თავად-აზნაურობა, რომელმაც კარგად იცის ადგილობრივი ცხოვრების ვითარება, თვითონ ითხოულობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ბ. კალჩევსკი ხალხისადმი უნდობლობითაა გამსჭვალული, უნდობლობა-კი ცხოვრების შემაფერხებელი თვისებაა, მეტადრე ჩვენ დროში, როცა ხალხისადმი მოწოდება, ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა მოახლოვებულია. ასე დაასრულა ბ. გრუზენბერგმა თავისი სიტყვა. დამსწრე საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორი.

ბ. გრუზენბერგს შემდეგ პასუხი გასცა ბ. კალჩევსკის ბ. დემიდოვმა, რომელმაც სთქვა შემდეგი: თუ აღვიარებთ, რომ კავკასიაში ხალხთა შორის მტრობაა, როდემდის უნდა ვუცადოთ იმ მტრობის მოსპობას? ასე თუა, მაშინ ისიც უნდა აღვიაროთ, რომ სახელმწიფო მსაჯულებადაც არ ვარგანან კავკასიის მკვიდრნი. იმათ, რომელნიც ამტკიცებენ, კავკასიის ხალხნი ერთმანეთს ემტერებიანო, სახეში უნდა ჰქონდეთ ის გარემოება, რომ ხალხი სხვა და სხვა კლასებად განიყოფება. რა მტრობა არის, მაგალითად, სხვა და სხვა ტომის ღარიბებს შორის? ავტორმა აღნიშნა ის გარემოება, რომ კალჩევსკი სცდება, როცა ამბობს საქართველოს ძველ დროში არ ჰქონია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მზგავსი დაწესებულება. დემიდოვმა მოიყვანა ისტორიულ წყაროებიდან საბუთები, რომლებითაც მტკიცდება, რომ საქართველოში ყოფილა ძველად ეგრედ წოდებული „სადაბო“, სახალხო კრებული, რომელიც, სხვათა შორის, სასამართლო საქმეებსაც არჩევდა.

ბ. დემიდოვის სიტყვასაც ტაშის კვრით მიეგება საზოგადოება, შემდეგი კამათი შაბათამდის გადაიდო.

* * *

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

29 მაისი

ვაშინგტონი, 29 მაისი. დღეს ღამით მიიღეს ვაშინგტონში იაპონიისა და რუსეთის მთავრობების პასუხი რუზველტის ნოტაზე. ორივე პასუხში ნათქვამია, მზათა ვართ მივიღოთ პრეზიდენტის წინადადებაო; იგინი კმაყოფილებას აცხადებენ კეთილის სამსახურის შესთავაზებისთვის. პასუხებს არ გამოაქვეყნებენ.—ამ ჟამად უკვე იციან, რომ საფრანგეთმა მხარი დაუჭირა რუზველტს მისს ცდაში ზავზე მოლაპარაკების გამართვისთვის.

პარიზი, 29 მაისი. აქ საყოველთაო სიხარული გამოიწვია ვაშინგტონიდან მოსულმა ცნობამ რუსეთისა და იაპონიის მიერ თანხმობის გამოცხადებაზე რუზველტის წინადადების მიღების შესახებ. იმედს აცხადებენ. რომ რუზველტი საფრანგეთის დახმარებით მოახერხებს გააზომიეროს იაპონიის მოთხოვნები და შესაძლებელი გახადოს ზავის ჩამოგდებაო.

პარიზი, 29 მაისი. „ტან“-ის აზრით უკეთესი გარანტია ექნება იაპონიას ომის განახლების წინააღმდეგ, თუ იგი მეგობრულ კავშირის დაიჭერს რუსეთთან.

მინსკი, 29 მაისი. ფანჯრიდან დასჭრეს ზურგში რევოლვერით პინსკის მაზრის მეოთხე ნაწილის საერობო უფროსი ნაბარანოვი. მსროლელი დაიმალა. 29 მაისს მოზორში სასიკვდილოდ დასჭრეს პოლიციის ზედამხედველი ნოვიცკი. დაიჭირეს ერთი ბოროტ-გამზრახველთაგანი იანკელ ნიმბაროვსკი.

ტანჟერი, 29 მაისი. არაბებ ბოროტ-გამზრახველებმა მოჰკლეს და გაძარცვეს ინგლისელი მადდენი. მისი ცოლი მძიმედ დასჭრეს. მკვლელნი მიიმალნენ. ინგლისისა და ავსტრიის წარმომადგენელთ ენერგიული პროტესტი განუცხადეს სულთანს.

მოსკოვი, 29 მაისი. დღეს საკოლნიკებთან გაიმართა აუარებელ მუშათა მიტინგი, რომელნიც არ დაიშალნენ პოლიციის მოთხოვნაზე. საჭირო გახდა ძალის ხმარება. კრება გაიმართა აგრეთვე კალუგის ზასტავას იქით.

ნოვოჩერკასკი, 29 მაისი. სახალხო განათლების დამხმარე საზოგადოების არა ჩვეულებრივ კრებაზე გადაწყდა გაუგზავნონ დეპეშა მინისტრთა საბჭოს ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევაზე.

სკოპინი, 29 მაისი. უკანასკნელ დღეებში სამი კაცი გაიქცა ციხიდან. დღეს ციხეში არეულობა მოხდა, რომელიც ჩაქრობილ იქნა დარაჯების რამდენიმე სროლით.

მოსკოვი, 29 მაისი. დღეს დაასაფლავეს სავვა მოროზოვი. კუბო მუშებს მიჰქონდათ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

30 მაისი

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა გოძიადანიდან გამოგზავნილი 1905 წ. 28 მაისს· ნაშუადღევის 5 ს. და 15წ.: „რამდენადაც გამოირკვა კრეისერ „ალმაზი“-სა, ნაღმოსნებ „გროზნი“-სა და „ბრავის“ კამანდირების ჩემდამი წერილობით მოხსენებისა და ფლიგ.-ადიუტანტ ჩაგინის პირად მოხსენებიდან ბრძოლის პირველ დღის შესახებ, როცა თვითონ ისინი იღებდნენ მონაწილეობას და აგრეთვე „ოსლიაბია“-დან გადარჩენილ ლეიტ. საბლინისა და სხვა აფიცრების სიტყვით, ბრძოლის უმთავრესი ვითარება შემდეგში ყოფილა: 12 მაისს საღამოს კრეისერ „ურალ“-მა აღმოაჩინა მტრის მიწერ-მოწერა უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით; 14 მაისს დილით როჟესტვენსკის ესკადრა მიუახლოვდა კორეის აღმოსავლეთის სრუტეს, ორ კალონად დაყოფილი, ტრანსპორტებით შუაში. მარცხენა კალონაში მიდიოდნენ ჯავშნოსნები, მარჯვნივ—კრეისერები. დილის 7 ს. დაინახეს კრეისერი „იძუმი“, რომელიც თითქმის ესკადრის გვერდით მიდიოდა. 11 ს. შეამჩნიეს მარცხნივ კრეისერებ „კასაგი“-სა, „ნიატაკა“-სი, „ჩიტოზა“ და „ცუსიმა“-ს რაზმი; ეს გემები ერთმანეთის შესახვედრათ მიდიოდნენ სრუტისაკენ. ამ დროს „ვლადიმირ მონომახ“-ი სიგნალის მიცემით გადვიდა ტრანსპორტებისკენ და სროლა დაუწყო „იძუმი“-ს, რომელიც მიიმალა ბურუსში, გასცა რა მას პასუხი. 11 ს. და 20 წ. ჯავშნოსანთა მეორე რაზმმა ესროლა იაპონიის კრეისერებს და შეამჩნიეს, რომ ყუმბარები მოხვდა ან „ნიატაკი“-სა ან „ცუსიმა“-ს. იაპონელებმა პასუხი გასცეს სროლაზე, შეუხვიეს მარცხნივ და მიიმალნენ ბურუსში. 11 ს. და 40 წ. ჯავშნოსანთა მეორე და მესამე და კრეისერთა რაზმები დაირაზმნენ ერთ კალონად, მოათავსეს ჯავშნოსნები თითო რაზმში, ტრანსპორტები და მზვერავები მარჯვნივ გაამწკრივეს. შუადღეზე შესცვალეს კურსი და პირველი რაზმი ჯავშნოსნებისა წავიდა ცალკე მარჯვნივ. 1 ს. და 20 წ. მარცხნივ ხელ-ახლა გამოჩნდა მტრის მზვერავი რაზმი. 1 ს. და 40 წ. გამოჩნდა მტრის ესკადრა, რომელსაც 4 ჯავშნოსანი და კრეისერები „იაკუმა“, „ნისსინი“, „კასუგა“. „ივატე“, „იძუმა“, „აძუმა“ და ზოგიერთი სხვა გემი შეადგენდა, სულ 18, რომელნიც შესახვედრად მოდიოდნენ ძლიერ ჩქარა. ნისლი აღარ იყო. ჰორიზონტი ისევ ბურუსით იყო მოცული და ჰქროდა სამხრეთის ქარი. იაპონიის გემები ნაცრისფრად იყვნენ შეღებილი, რაც ბურუსის წყალობით ძნელი გასარჩევი იყო. მტერი კაი ძალ მანძილზე მიბრუნდა წინ მარცხნივ და კონტრ-კურსი დაიჭირა. იაპონელები ყოჩაღათ ისროდნენ მიზანში. მათი ყუმბარები სეტყვასავით უშენდნენ ჩვენს გემებს; მათი ცეცხლი, განსაკუთრებით, ჩვენის საადმირალო გემებისკენ იყო მოჩერებული. ისროდნენ ფუგასის ყუმბარებს, ანადგურებდნენ საკვამლეებს, რანგოუტს და ყველა იმ ნაწილებს, რომელნიც ზემოდან აქვს გემებს დაშენებული, აჩენდნენ გემებზე ცეცხლს და მხოლოდ ბოლოს გვიშენდნენ ჯავშნის მანადგურებელ ყუმბარებს. ჩვენის ესკადრის აღლუმს ხელს უშლიდნენ ტრანსპორტები „ანადირი“, „ირტიში“, „კორეია“, „რუსი“ და „სვირი“. ყველაზედ უწინ დაზიანდნენ ჯავშნოსნები „ოსლიაბია“ და „სუვოროვი“. ყუმბარამ დახვრიტა რამდენიმე ადგილას „ოსლიაბია“. ნახვრეტის დაცობა შეუძლებელი იყო რხევისა და გემების მოძრაობის გამო. წყალი შევიდა ნახვრეტში და ძირს აპარატებსა და დინამო-მანქანებამდე ჩავიდა. გემს მოხვდა ახალი ყუმბარა მარცხენა მხრიდან მეათე სანახშირე ორმოში, გახვრიტა და წყლით გაივსო საჭიროებისთვის შემონახული კრიუდ-კამერა. გემი უფრო გადაიწია გვერდისაკენ და ასწია ცხვირი. გემის გასასწორებლად წყლით დაუწყეს ვსება მარჯვენა მხრის საპატრონე სარდაფებს; ამ დროს შიგ ცხვირის კოშკში სამი დიდი ყუმბარა მოხვდა გემს. პირველმა მოწყობილება გააფუჭა, მესამე მოხვდა ამბრაზურას, მოჰკლა მოსამსახურეები და დასჭრა კოშკის კამანდირი მიჩმანი მაიკოვი. „ოსლიაბია“ გამოვიდა რაზმიდან და, ასე 3 ს., დაყირავდა და ჩაიძირა კილეც. დაღუპვის დროს ხიდზე იყვნენ კამანდირი ბერი, კაპ. მანკვ, ლეიტ. საბლინი და პრაპორ. ბოლტირიევი. ბრძოლის დროს დაიჭრნენ უფროსი ოფიცერი კაპ. პოხვისნევი, პოდ.-პოლკ. ოსიპოვი, ლეიტ. კასინსკი, კოლოკოლცევი, მიჩ. თ. ლივენი, შიპოვალოვი და ბევრი სხვა კამანდიდან. მეზღვაურების წასაყვანად ოთხი ნაღმოსანი მოვიდა. „ოსლიაბია“-ს ჩაძირვას „სუვოროვი“-ს რაზმიდან გასვლა მოჰყვა. ამ დროს როჟესტვენსკი, დაჭრილი ბრძოლის დაწყებისთანავე, გადავიდა თავის შტაბით ნაღმოსან „ბუინი“-ზე. ასე 4 საათზე გამოვიდა რაზმიდან „სისოი ველიკი“, ცეცხლი ჩაიქრო და ისევ მიბრუნდა თავის ადგილას. ესკადრამ ისეთი კურსი აიღო, რომ დაეფარა „სუვოროვ“-ი“. 5 ს. „ალექ. 3“-ზე ცეცხლი შევამჩნიეთ; ის რაზმიდან გამოვიდა, გაიქრო ცეცხლი და ისევ მობრუნდა რაზმში; 8 ს. მან სიგნალით აჩვენა „ცუდათაა ჩემი საქმეო“, მაგრამ რაზმს მაინც არ მოშორებია. ბრძოლის დაწყებისთანავე იაპონიის ესკადრას ჩამოშორდნენ „კასაგა“, „ჩიტოზე“, „ნიიტაკა“, „ცუსიმა“, „აკიცუსია“, „სუმა“ და ორი კრეისერი „მაცუსიმა“-ს ტიპისა იმ მიზნით, რომ ტრანსპორტებისთვის ესროლათ, რომელნიც აირიენ, რათა ჯვარედინ ცეცხლისაგან უნდოდათ თავი ეხსნათ. იაპონელები ესროდნენ ტრანსპორტ „სვეტლანა“-ს, „ალმაზ“-ს და „ურალ“-ს. უკანასკნელი გაიხვრიტა და რაზმიდან გავიდა. „სვეტლანა“-მ სიგნალი მისცა ტრანსპორტ „კორეია“-ს, „ურალ“-იდან ხალხი გადასხით. ამ დროს „სვეტლანა“-ც გაიხვრიტა შუბლთან და ცოტათი წინ გადიწვა, მაგრამ ისევ თავის ადგილას დადგა და იბრძოდა. 7 ს. ესკადრა დაახლოვებით ამნაირად იდგა: ჩვენს ჯავშნოსნებს მტრის პარალელური კურსი ეჭირათ და მარჯვენა მხრივ ისროდნენ; ამათგან მარცხნივ მიდიოდნენ „ოლეგ“-ი, „ავრორა“, „დიმიტრი დონსკოი“ და „ვლად. მონომახ“-ი; უფრო მარცხნივ მიდიოდნენ ტრანსპორტები „კამჩატკა“-თი და „ურალო“-თ; მათ მიჰყვებოდნენ ტრანსპ. „სვეტლანა“ და „ალმაზ“-ი. კიდევ უფრო მარცხნივ მიდიოდნენ „ჟემჩუგ“-ი, „იზუმრუდ“-ი და ნაღმოსნები. შორს მარცხნივ და უკან მოსჩანდნენ იაპონიის კრეისერები მეორე და მესამე კლასისა, ჰორიზონტზე კი მოსჩანდა 30—60 ნაღმოსანი. საღამოს 7 ს. და 10 წუთზე „ბოროდინო“ სამს წუთზე ადრე ჩაიძირა. მის ჩასვლის წინ „ნიკოლაი“-მ სიგნალით აცნობა; „კურსი ნორდოსტი 23“. ნახევარ საათს ვიარეთ ამ კურსით. წინ გამოჩნდა იაპონიის 9 მმუსრავი. ჯავშნოსნებმა მარჯვნივ მიიწიეს, კრეისერებმა მარცხნივ: ჩვენი ჯავშნოსნები ესროდნენ; მათ უცბად მარცხნივ მოუხვიეს და უნდოდათ მიახლოვებოდნენ ჩვენს კრეისერების რაზმს, რომლიდან „ოლეგი“ ენკვისტის ბაირაღით, „ავრორა“ და „ჟემჩუგი“ განაგრძობდნენ გზას სამხრეთისკენ, დანარჩენები კი ისევ ჩრდილოეთისკენ წავიდნენ. დაბნელებისას ბრძოლა ისევ სწარმოებდა და იაპონელები პროჟექტორებით გვანათებდა. ბრძოლა სწარმოებდა კუნძულ იკისა და ცუსიმას შორის.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ვ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 4 ივნისისთვის დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მე-10 საპოლიციო უბანში, ტფილისის დამოუნის მახლობლად, 726,3 ოთხკუთხ საჟენ ქალაქის მიწის გასაცემად. ეს მიწა გაიცემა შეშის, ხე-ტყის და საქონლის საკვების საწყობად.

პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 2 საათამდე (3—6 —1).

სკოლა და პანსიონი
ნ. ა. ბუზაჯალია-ირიათაისა

7 ივნისს იხსნება საზაფხულო მიღის სოფ. ახალქალაქში (გორის მაზრა). სკოლა იღებს მოსწავლეებს პანსიონერებად, ნახევარ-პანსიონერებად და გარედან მოსიარულეებად. სკოლა ამზადებს საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებისთვის. სწავლება ახალ ენებისა. ალექსანდრეს ქუჩ., ვიჩიროვის სახლი, № 27. (3—3)

მთავარი საწყობი შეშისა
„ა. ი. ქურხალის“

ანდრეევის ქუჩა, დამჯერის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მოტანილი და [illegible] დიდ დიდ-ძალ შეშას, სხვა-და-სხვა [illegible]; რცხილისას, წიფლისას, რთმელისას, მუხის და სხვ. [illegible]

(90—68)

სურთ იყიდონ ნაღდ ფულად
ორი კარგი შემოსავლიანი
სახლი
გოლოვინის პროსპექტზე, ან მის ახლო-მახლო თვალსაჩინო ქუჩაზე.

ჰკითხეთ სამეურნეო ბანკში ბუხგალტერს 10—2 საათამდე.

კომისიონერებს არ ღებულობენ. (3—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელსაც იმართება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მზრუნველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალთა ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შინაგანი, [illegible] და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მაწრაფლ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა
შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

გოხედეთ ყურადღება მიაქციეთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6.—39)